ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა:
ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები

ნინო სამხარაძე

ფეხბურთი და ნაციონალიზმი საქართველოში 1960-1980-იან წლებში

ნაშრომი შესრულებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: ირაკლი ჩხაიძე
კულტურის კვლევათა დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

თბილისი
2017

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეხება ქართული ნაციონალიზმის გაღვივებაში ფეხბურთის როლის დადგენასა და გაანალიზებას საბჭოთა საქართველოში 1960-1980-იან წლებში. კვლევის მთავარი მიზანია, გამოვლინდეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ქართული საზოგადოებისთვის ნაციონალური გრძნობების გაღვივებასა და გამოხატვაში ფეხბურთში განვითარებული მოვლენები საბჭოთა მმართველობის პირობებში. კვლევაში, ასევე, წარმოდგენილი იქნება მცდელობა, გამოიკვეთოს ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებდა ფეხბურთის როლის ფორმირებას ქართული ნაციონალიზმის კვლავწარმოებაში. ნაშრომში წარმოდგენილი ჰიპოთეზის თანახმად, 1960-1980-იან წლებში საბჭოთა მმართველობის პირობებში ფეხბურთი გახდა ეროვნული თვითშეგნების გამოხატვის სივრცე, რის შედეგადაც მასების მობილიზაციის ხელშეწყობის გზით გავლენა იქონია ქართული ნაციონალიზმის გაღვივებაზე.

საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ქართულ ფეხბურთს, განსაკუთრებით კი საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“, საბჭოთა კავშირის ფარგლებში მცხოვრები ხალხისთვის ეროვნული დატვირთვა ჰქონდა, რაც საკვლევ პერიოდში განვითარებულ არაერთ მოვლენასა და პროცესში გამოიხატა. ფეხბურთის, როგორც სპორტის სახეობისა და სოციალური მოვლენის, ამ მნიშვნელობის ფონზე კი საკითხი პრაქტიკულად არ არის შესწავლილი.

მოცემული ჰიპოთეზის დადასტურების მიზნით ნაშრომის ფარგლებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ფეხბურთის, როგორც სპორტის სახეობის, სოციალურ განზომილებას და შესაბამის უცხოურ კვლევებს, რაც წარმოაჩენს იმ მექანიზმებსა და ძირითად ფაქტორებს, რომლებიც აქცევენ ფეხბურთთან დაკავშირებულ პროცესებს ნაციონალიზმის წარმომქმნელ და / ან განმავითარებელ ფენომენად. ამავე დროს, ფეხბურთისა და მასების ურთიერთკავშირის მიმოხილვისას ჩამოყალიბებულია ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც გამოყენებულია საბჭოთა საქართველოში ფეხბურთის როლის ახსნისა და გაანალიზებისთვის. შესაბამისი თეორიული ჩარჩოს შექმნისა და მეთოდოლოგიური

სტრუქტურის გამოყენების გზით წარმოდგენილია აღნიშნული ფაქტორების კლასიფიკაცია ტექსტის ძირითადი ნაწილის სამ თავში: გაანალიზებულია ფეხბურთის როლი მასების მობილიზაციაში 1960-1980-იან წლებში საქართველოში განვითარებული სხვადასხვა საფეხბურთო მოვლენების მაგალითზე, ხაზგასმულია საბჭოთა რეჟიმისა და მის მიერ შემოთავაზებული ეროვნული პოლიტიკის თავისებურებები, რომლებმაც საქართველოში ფეხბურთი ნაციონალიზმის კონტროლის ერთ-ერთ მექანიზმად აქცია და, ბოლოს, მოყვანილია საფეხბურთო მოვლენების საბჭოთა პრესაში გაშუქების ტენდენციები, რაც წარმოადგენს ქართული ფეხბურთისა და ნაციონალიზმის ურთიერთკავშირის ერთგვარ ილუსტრირებას.

Football and Nationalism in Georgia in 1960s-1980s

Annotation

Nino Samkharadze

The present thesis sets out the basic factors of football as a catalyst for nationalism in Soviet Georgia throughout 1960s-1980s. The main goal of the research is to reveal how important were the events which took place in Georgian football and how they influenced on intensifying and expressing under the Soviet regime. An attempt of elaborating set of the factors of football affecting on reproducing Georgian nationalism will be presented. According to the hypothesis football became the arena of expressing national self-consciousness under the Soviet governance, resulted in intensifying of Georgian nationalism through supporting the mass mobilization process.

Issue is important to be researched since Georgian football, especially the Football Club Dinamo Tbilisi, had adopted the role of national dignity for the people living within the Soviet borders in 1960s-1980s. This role was illustrated through the various processes which took place in Georgian football. At the same time football's social dimensions affecting the overall attitudes of the societies is not comprehensively explored.

In order to check the hypothesis it is reviewed foreign academic works on football and its influence in various societies' developments. Through them it is distinguished the main mechanisms which make football as a phenomena for deriving and intensifying nationalism. Through creating relevant theoretical framework and methodological structure those dimensions are reviewed in three chapters of the major part of the text: the role of football in mass mobilization process is analyzed through the events which took place in Georgian football in 1960s-1980s, it is stressed the factor of Soviet regime and football as a part of Soviet nationalities policy and, lastly, it is reviewed the general trends of covering the football events in Soviet printing media in order to illustrate the interconnection of Georgian nationalism and football.

სარჩევი

შესავალი 6

1. თეორიული ჩარჩო და მეთოდოლოგია 13
2. ლიტერატურის მიმოხილვა 23
3. ქართული ფეხბურთის როლი მასების მობილიზაციის პროცესში 32
   3.1. ფეხბურთი და მასების მობილიზაცია 32
   3.2. ფეხბურთი და გულშემატკივარი საბჭოთა საქართველოში 1960-1980-იან წლებში 34
4. საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა და ქართული ფეხბურთი 48
   4.1. კულტურული ნაციონალიზმი, როგორც საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის ქვაკუთხედი 49
   4.2. ფეხბურთი, როგორც საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის ნაწილი და საბჭოთა საქართველო 1960-1980-იან წლებში 53
5. პრესა და ქართული ფეხბურთი, როგორც ნაციონალიზმის კვლავწარმოების მექანიზმი 60
   5.1. პრესის როლი მასების მობილიზაციაში 60
   5.2. ქართული საბჭოთა პრესა და ფეხბურთი 62

დასკვნა 67

გამოყენებული ლიტერატურა 71

დანართი N1 76

დანართი N2 77

შესავალი

ფეხბურთი მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობაა (Nili, 2009, გვ. 245), რომელსაც შეუძლია განსხვავებული ინტერესების მქონე ჯგუფები გააერთიანოს და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მასების მობილიზაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მოვლენებზე. მნიშვნელოვანია მისი როლი ისეთ პროცესებში, როგორიცაა ნაციონალიზმის გაღვივება ან, სულაც, ფორმირება ამა თუ იმ ერთობაში. ფეხბურთი სხვადასხვა ჯგუფებზე სხვადასხვა ტიპის გავლენას ახდენს, რასაც განსაზღვრავს ამ ერთობების ისტორიული, სოციალური, კულტურული თუ პოლიტიკური თავისებურებები. საფეხბურთო პოლიტიკა ხშირად ირეკლავს ამა თუ იმ ერთობაში არსებული ნაციონალურ განწყობებს, ეთნიკურ საკითხებთან დაკავშირებულ გამოწვევებს და არაერთ სოციალურ პრობლემას. საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიას ახსოვს შემთხვევა, როდესაც საფეხბურთო მატჩი საერთაშორისო კონფლიქტის დაწყების საბაბი გამხდარა: 1969 წელს „ფეხბურთის ომად“[1] წოდებული შეიარაღებული დაპირისპირება ჰონდურასსა და ელ სალვადორს შორის 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩს მოჰყვა. სპორტის ამ სახეობას ხშირად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეთნიკური ჯგუფებისთვის, რომლებსაც საკუთარი სახელმწიფო არ აქვთ და თვითგამორკვევისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან. ფეხბურთმა დიდი როლი ითამაშა არაერთი ქვეყნის ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში; ის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებისთვის ბალკანურ ომებში 1990-იანი წლების დასაწყისში.

როცა კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეები საკუთარი ეროვნული გუნდის ან კონკრეტული გმირის გულშემატკივრები ხდებიან, ისინი დროებით ივიწყებენ სხვადასხვა

[1]“ფეხბურთის ომი“, ცნობილი ასევე როგორც „ასსაათიანი ომი“ ჰონდურასსა და ელ-სალვადორს შორის, რომელიც 1970 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებს მოჰყვა. საბოლოო გამარჯვების მოპოვების შემდეგ 1969 წლის 14 ივლისს ელ-სალვადორის ჯარები ჰონდურასის ტერიტორიაზე შევიდნენ. 18 ივლისს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების შედეგად კი შეიარაღებული დაპირისპირება დასრულდა.

სოციალურ კონფლიქტებს და ერთიანდებიან საერთო დროშის ქვეშ (Tunin & Brey, 2012, გვ. 9-12). აქედან გამომდინარე, ფეხბურთი ხელს უწყობს კონკრეტული საზოგადოების წევრების მიერ ერთიანობის აღქმას, ხდება რა საფუძველი სიმბოლური ერთობის განსახიერებისთვის და მუშაობს, როგორც სოლიდარობის განცდის გაღვივების მექანიზმი. მეორე მხრივ, თამაშის ეს სახეობა, მსოფლიო ხალხებისთვის საერთო საკომუნიკაციო ენას ქმნის (Seippel, 2017, გვ. 43) და თავისი გლობალურობიდან გამომდინარე, არის ინსტრუმენტი არა მხოლოდ ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებისთვის, არამედ კონკრეტული ერთობის გზავნილების მსოფლიოს მასშტაბით გატანისთვის.

ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც საქართველოა. როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, თუ როგორ მუშაობს საფეხბურთო მოვლენები ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, მნიშვნელოვანია, დავაკვირდეთ ქართული ფეხბურთის განვითარების ისტორიას და მის გავლენას ეროვნული იდენტობის რეპროდუქციაზე ქართულ საზოგადოებაში განსაკუთრებით საბჭოთა რეჟიმის ბოლო რამდენიმე ათწლეულში. 1801 წლიდან საქართველო ცარისტული რუსეთის, ხოლო 1921 წლიდან 70 წლის განმავლობაში საბჭოთა მმართველობის ქვეშ ვითარდებოდა. 200 წლის განმავლობაში ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში ეროვნული ამბიციები ყოველთვის ვიწროვდებოდა ან, უარეს შემთხვევაში, იდევნებოდა. შედეგად პოლიტიკური დამოუკიდებლობის არარსებობასთან ერთად ქვეყანამ გამოუცდელი სამოქალაქო საზოგადოება მიიღო. საბჭოთა სახელმწიფო მის ფარგლებში მოქცეულ რესპუბლიკებს აძლევდა უფლებას, ჰყოლოდათ საკუთარი საფეხბურთო კლუბები, რომლებიც პერიოდულად საკავშირო დონეზეც გამოდიოდნენ. სწორედ ამ დროს ისინი, გარკვეულწილად, თავიანთი ხალხების წარმომადგენლები ხდებოდნენ შედარებით მასშტაბურ ასპარეზობებზე. ამის ფონზე ფეხბურთი საქართველოში, სხვა კულტურულ მოვლენებთან ერთად, ეროვნული თვითგამოხატვის და ნაციონალური ეგოს დაკმაყოფილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად იქცა.

...

ქართულმა ფეხბურთმა აქტიური განვითარება დაიწყო მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა საფეხბურთო კლუბი თბილისის "დინამო" (1925 წელი), სადაც, როგორც წესი, თავს იყრიდნენ საუკეთესო ფეხბურთელები არა მხოლოდ დედაქალაქიდან, არამედ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. თამაში თბილისის „დინამოში" ყველა ქართველი ფეხბურთელისთვის ითვლებოდა ქართველი ხალხისთვის გაწეულ სამსახურად: ისინი თამაშობდნენ გუნდისთვის, რომელიც იყო ერის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი სსრკ-ს მასშტაბით. თბილისის "დინამო" ყველაზე წარმატებული ქართული კლუბია. საბჭოთა პერიოდში ის ორჯერ გახდა უმაღლესი ლიგის გამარჯვებული (1964, 1978) და არის სსრკ თასის ორგზის მფლობელი (1976, 1979). ერთ-ერთი ყველაზე განსაკუთრებული როლი მასების მობილიზაციის პროცესში კლუბმა ითამაშა 1981 წელს, როდესაც მოიგო უეფას თასების მფლობელთა თასი და საქართველოს მოუტანა გამარჯვება, რომელიც ხალხისთვის ეროვნულ დღესასწაულად აღიქმებოდა. თუმცა, საფეხბურთო კლუბის ამგვარი დატვირთვიდან გამომდინარე, ქართული საზოგადოება მკვეთრად რეაგირებდა, ასევე, გუნდის წარუმატებლობზე ისეთ პრინციპულ მეტოქეებთან, როგორიც იყო ერევნის „არარატი".

...

ყველა საკვანძო მოვლენის გათვალისწინებით, რომელიც ქართულ ფეხბურთში მოხდა, მის გავლენას ნაციონალისტურ განწყობებზე დავაკვირდებით 1960-1980-იან წლებში. ეს არის პერიოდი, როდესაც გლობალურ სამყაროში დეკოლონიზაციის პროცესის შედეგად ახალი სახელმწიფოები გამოჩნდნენ, წინ წამოიწია ადამიანის უფლებების, სოციალური კეთილდღეობის საკითხებმა, დასავლურ საზოგადოებებში ეკონომიკურმა თუ კულტურულმა განვითარებამ ხელი შეუწყო არაერთ განმათავისუფლებელ მოძრაობას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფეხბურთმა ორი მიმართულებით შეიძინა გავლენა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში ნაციონალიზმის გაღვივების თვალსაზრისით: პირველ რიგში, საფეხბურთო გუნდებმა დაიწყეს ეროვნულობის სამოქალაქო კოცეპტების გავრცელება, რაც ამ გუნდების (კლუბების თუ ნაკრებების) დაკომპლექტების პოლიტიკაში

გამოიხატებოდა. მეორე მხრივ, მოხდა ერების გამორჩეულობის ფიქსირება სხვადასხვა საფეხბურთო სტილის ჩამოყალიბების გზით (Rojo-Labaien, 2014, გვ.5). 1960-იანი წლებიდან განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ნაციონალისტური განწყობების ზრდა ავტორიტარული რეჟიმების მიერ ჩაგრულ ხალხებში. აქ ამ განწყობების გამოხატვა, ძირითადად, პოლიტიკისგან მეტნაკლებად დაცულ არენაზე ხდებოდა. ამ პროცესების ნათელ მაგალითს წარმოადგენს ესპანეთი, სადაც საფეხბურთო კლუბებმა შესამჩნევად ჩაანაცვლეს პოლიტიკური ინსტიტუტები ეროვნული აქტივობების თვალსაზრისით (Nili, 2009, გვ. 246). დაახლოებით მსგავსი ტენდენციები გამოიკვეთა სოციალისტური ბანაკის წევრ ქვეყნებსა და საბჭოთა რესპუბლიკებშიც. ანტი-საბჭოთა განწყობები სწრაფად იზრდებოდა საქართველოშიც რასაც თან ერთვოდა საბჭოთა ნომენკლატურის შესამჩნევი დასუსტება. შესაბამისად, ქართული საზოგადოებაც, ამ შემთხვევაში, წარმოდგენილი საფეხბურთო გულშემატკივრის სახით, უფრო თამამად აფიქსირებდა აგრესიას მოედანზე, როგორც ეს 1977 წელს მოხდა (ლორთქიფანიძე, 2012, გვ, 484-489). კაზუო უჩიუმი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ ევროპაში სოციალიზმის კვდომის პროცესში პოსტსაბჭოთა სივრცეში არა უბრალოდ ნაციონალისტური განწყობები გაიზარდა, არამედ ნაციონალიზმის გასპორტულება მოხდა (sporting the nationalism), რაც კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებს და ელიტების პოლიტიკურ გეგმებს (Uchiumi, 2012, გვ. 1-2). აქედან გამომდინარე, სპორტში, უმთავრესად კი ფეხბურთში გამოხატული ნაციონალიზმი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის განუყოფელ ნაწილად იქცა.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში მიმოხილული იქნება ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც ფეხბურთს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაკონსოლიდირებელ ფაქტორად აქცევს სხვადასხვა საზოგადოებებისთვის. სხვადასხვა ემპირიული მასალის საფუძველზე წარმოდგენილი იქნება ფეხბურთის მნიშვნელობის მასშტაბები საბჭოთა საქართველოში და მისი, როგორც ნაციონალისტური განწყობების კატალიზატორის, როლი საკვლევ პერიოდში.

ზემოთ მოცემული საკითხების გაანალიზების შედეგად გამოკვლეული იქნება ქართული ფეხბურთის და ნაციონალისტური განწყობების ურთიერთქმედების ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებები 1960-1980-იან წლებში. ნაშრომის მთავარი მიზანია, დაადგინოს კავშირი ორ ძირითად ცვლადს შორის, ესენია ქართული ფეხბურთი თავისი განვითარების ისტორიით და ნაციონალიზმი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, ძირითადად, გულშემატკივრობაში გამოიხატებოდა.

საფეხბურთო მოვლენები - თამაშები, სიახლეები, გამარჯვებები და დამარცხებები - არის ის ცენტრი, რომლის გარშემოც პერიოდულად თავს იყრის გარკვეული საზოგადოების წევრების უმრავლესობა. ამ საზოგადოების წევრებს მოვლენათა განვითარებაზე მეტნაკლებად ერთნაირი რეაქციები და განწყობები უჩნდებათ: ისინი გულშემატკივრობენ, განიცდიან, აღნიშნავენ ან გლოვობენ. ემოციების გამოხატვა სხვადასხვანაირად ხდება, თუმცა ემოცია, ერთი და იმავე საზოგადოების წევრებს შორის ერთი და იგივეა - მათ ან უხარიათ, ან არა. ემოციათა მსგავსებას განაპირობებს ის, რომ საზოგადოების წევრებს აქვთ ერთი მიზანი - „მათმა გუნდმა“ უნდა დაამარცხოს „სხვა“. ეს მიზანი აერთიანებს მათ განურჩევლად იმისა, იცნობენ თუ არა ისინი ერთმანეთს (ანდერსონი). ამ პროცესის ვიზუალიზაცია განსაკუთრებით ნათელია საფეხბურთო მოედნებზე, სადაც იკრიბება ათასობით ადამიანი, რომელთაგან უმრავლესობა ერთმანეთს არ იცნობს, თუმცა იმის მიხედვით, თუ რა ხდება მოედანზე, ისინი არა მხოლოდ ერთსა და იმავე ემოციას გამოხატავენ, არამედ ამას ზოგჯერ ერთი და იგივე ჟესტებით ან რიტუალებით აკეთებენ.

რიტუალები და სიმბოლოები, რომლებსაც მოიცავს საფეხბურთო ტრადიციები, აერთიანებს საზოგადოების სხვადასხვა წევრებს, ხდება მათი ყოველდღიურობის ნაწილი და სოლიდარობის განცდას უმძაფრებს მათ (ბილიგი), განსაკუთრებით კი მაშინ, თუ საქმე ეხება ე.წ. „არადომინანტ“ საზოგადოებებს, ანუ „არადომინანტ ერებს“ (ჰროში). მსგავს ერთობებში ფეხბურთის ელემენტებში გამოხატული კულტურული ნაციონალიზმი ხდება საფუძველი იმისა, რომ ეროვნული თვითშეგნება პოლიტიკურ პროექტში გადაიზარდოს, რადგან კულტურული საფუძვლების არსებობა საზოგადოების წევრებს აძლევს უქმნის შეგრძნებას, რომ ისინი იმსახურებენ საკუთარ სივრცეს (ჰატჩინსონი).

მნიშვნელოვანია კვლევის ფარგლებში ძირითადი ტერმინების განმარტებების წარმოდგენა, რათა ნათელი გახდეს კვლევის ძირითადი საგანი. ჯონ ჰანტერი ამტკიცებს რომ ფეხბურთი არის პროცესი, რომელიც ემოციებზე დაფუძნებულ ეროვნულ ლოიალობას სამოქალაქო სოლიდარობად აქცევს (Hunter, 2010. გვ. 410). ედუარდო არჩეტტი კი წერს, რომ ფეხბურთი არ არის არც აჯანყებათა რიტუალი, არც მასების ოპიუმი, ფეხბურთი ბევრად უფრო კომპლექსური სცენარია (Archetti, 1992, გვ. 232).

ანდრეი შჩერბაკი კულტურულ ნაციონალიზმს განმარტავს, როგორც კულტურულ, საგანმანათლებლო და ლინგვისტურ პოლიტიკას, რომელსაც ინტელიგენცია უდგას სათავეში (Shcherbak, 2013, გვ. 21) და განიხილავს მას მმართველი ძალების პოლიტიკის პროდუქტად, რომელსაც პოლიტიკურ განრიგში თავისი მიზანი და დანიშნულება აქვს (Shcherbak, 2013, გვ. 8).

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, პასუხი გასცეს ისეთ მნიშვნელოვან კითხვებს, როგორიცაა:

- რა გარემოებებში მოხდა საფეხბურთო მოვლენების მნიშვნელობის განსაზღვრა ქართული ნაციონალიზმის გაღვივებაში?
- რა ფორმით იქონია ქართულმა ფეხბურთმა გავლენა ნაციონალიზმის გაღვივებაზე?
- რა ფაქტორებმა განსაზღვრა ფეხბურთის როლი ნაციონალიზმის გაღვივების პროცესში საქართველოში 1960-1980-იან წლებში?

ზემოთ აღწერილიდან გამომდინარე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი ჰიპოთეზა: *1960-1980-იან წლებში საბჭოთა მმართველობის პირობებში ფეხბურთი გახდა ეროვნული თვითშეგნების გამოხატვის სივრცე, რის შედეგადაც მასების მობილიზაციის ხელშეწყობის გზით გავლენა იქონია ქართული ნაციონალიზმის გაღვივებაზე.*

აღნიშნული ჰიპოთეზის დასადასტურებლად შესაბამისი თეორიული ჩარჩოს აგების შემდეგ ემპირიული მასალის ანალიზისა და კლასიფიკაციის მიზნით ნაშრომის ძირითადი ნაწილის სამი თავიდან პირველი დაეთმობა ფეხბურთის როლს მასების მობილიზაციის პროცესში. პირველ ქვეთავში ფეხბურთისა და საზოგადოების დამოკიდებულებების დინამიკის ურთიერთკავშირის საილუსტრაციოდ მოყვანილი აკადემიური ნაშრომებისა და

თეორიების მიმოხილვის შემდეგ მეორე ქვეთავში ქართული ფეხბურთის გარშემო განვითარებული მოვლენებისა და ზოგადი დამოკიდებულებების ჩვენების გზით ნაჩვენები იქნება ფეხბურთის როლი ქართული საზოგადოების მობილიზაციის პროცესში. შემდეგი ნაწილი დაეთმობა საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლების გამოყოფას და ფეხბურთს, როგორც ამ პოლიტიკის ნაწილს ადგილობრივი ნაციონალიზმ(ებ)ის კონტროლის პროცესში. ბოლოს კი მოყვანილი იქნება საფეხბურთო მოვლენების საბჭოთა პრესაში გაშუქების ტენდენციები, რაც წარმოადგენს ქართული ფეხბურთისა და ნაციონალიზმის ურთიერთკავშირის ერთგვარ ილუსტრირებას.

1. თეორიული ჩარჩო და მეთოდოლოგია

1.1.თეორიული ჩარჩო

ფეხბურთი ინდუსტრიალიზაციის ეპოქის პროდუქტია (ფოიერი, 2011, გვ. 7). ამავე დროს ის კულტურული ნაციონალიზმის ნაწილია, შესაბამისად, მის გავლენას ნაციონალიზმის გაღვივების პროცესზე ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციის ჩარჩოში განვიხილავთ. აღნიშნული თეორია ერებისა და ნაციონალიზმის წარმოშობაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალურ-კულტურულ ფაქტორებს (დავითაშვილი, 2003, გვ.117). ფეხბურთის ფენომენი ნაციონალიზმის გაღვივების პროცესში კულტურული ნაციონალიზმის ისეთი თეორეტიკოსების მიერ შეიძლება აიხსნას, როგორიცაა ბენედიქტ ანდერსონი, ჯონ ჰათჩინსონი და მაიკლ ბილიგი. მეორე მხრივ, ჩამოთვლილი ავტორები პრაქტიკულად ვერ ხსნიან ფეხბურთისა და ნაციონალიზმის ურთერთდამოკიდებულების პოლიტიკურ ასპექტებს, რისთვისაც ერიკ ჰობსბაუმის საკვანძო თეორიას, „ტრადიციათა გამოგონებას“ გამოვიყენებთ.

ბენედიქტ ანდერსონი ეროვნებას მიიჩნევს გარკვეული ტიპის კულტურულ არტეფაქტად, რომელიც ძირეულ გავლენას ახდენს ემოციურად მართვად მოვლენებზე (Anderson, 2006, გვ. 4). ის გვთავაზობს „ერის“ ცნების შემდეგნაირ განმარტებას: ერი არის წარმოსახვითი პოლიტიკური ერთობა, რომელიც არსებითად შეზღუდულიცაა და სუვერენულიც. ერი წარმოსახვითია იმდენად, რამდენადაც ყველაზე პატარა კომუნის წევრებიც კი არ იცნობენ ერთმანეთს პირისპირ, თუმცა მათი ყოფის სპეციფიკა განპირობებულია საერთო წარმოსახვითი იდეებით. ყოველი საზოგადოება სხვა დანარჩენისგან განსხვავდება იმით, თუ როგორ ხდება მისი წარმოსახვა (Anderson, 2006, გვ. 6). ერის კონცეფცია შეზღუდულია, რადგან არცერთი საზოგადოება არ განიხილავს საკუთარ თავს, როგორც მთელ კაცობრიობას, არამედ ყველა საზოგადოება აცნობიერებს, რომ მისი წრის გარეთ არის კიდევ ვიღაც სხვა. ამავე დროს ერი არის სუვერენული, რადგან ცნება წარმოიშვა განმანათლებლობის ხანაში, როდესაც საზოგადოებათა თვით-აღქმა დაიწყო

რელიგიური თუ ბიუროკრატიულ-იერარქიული იდეებისგან დამოუკიდებლად. იმდენად, რამდენადაც ბენედიქტ ანდერსონის განმარტების მიხედვით ერი წარმოსახვითი საზოგადოებაა, მისთვის საინტერესოა, რა აიძულებთ აღნიშნული წარმოსახვითი საზოგადოებების წევრებს, თავი შესწირონ ამგვარ ერთობას? ანდერსონისთვის პასუხი ეროვნების კულტურულ ფესვებშია (Anderson, 2006, გვ. 7).

სეზარ გარსია გულშემატკივრის როლს ფეხბურთში განვითარებულ სხვადასხვა მოვლენებში გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნევს, რადგან სწორედ გულშემატკივარია ის საზოგადოება, რომელმაც თავის თავში უნდა ასახოს ყველა მნიშვნელოვანი გამარჯვება და მარცხი, მათი მუდმივი თავდადება და მხარდაჭერა არის ერთგვარი ლეგიტიმაცია ამა თუ იმ ეროვნული ნაკრებისთვის ან საფეხბურთო კლუბისთვის. გულშემატკივრობა ერის წარმოსახვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია, რა დროსაც მრავალრიცხოვანი ქომაგი პროცესის ცენტრალური მოთამაშეა. სეზარი სწორედ ამას გულისხმობს, როცა წერს, რომ ფეხბურთი ერთ-ერთი ყველაზე დიდი კულტურული ინსტიტუციაა, რომელიც აყალიბებს და გარკვეულ ფორმას აძლევს ეროვნულ იდენტობებს მსოფლიოს გარშემო (Garsia, 2012, გვ. 4). საფეხბურთო კლუბები უბრალოდ კი არ წარმოადგენენ რომელიმე კონკრეტულ ქალაქს თუ ქვეყანას, არამედ ქმნიან ზოგად წარმოდგენებს ამ ქალაქისა თუ ქვეყნის შესახებ, რაც ფეხბურთს ზოგიერთ შემთხვევაში აქცევს საზოგადოების წევრების მიერ ეროვნულ იერთობის წარმოსახვის ანდერსონისეული პროცესის ნაწილად.

საფეხბურთო კლუბების როლის თვალსაზრისით ანდერსონის თეორიას ეყრდნობა ცერი ბენჟამინიც თავის სტატიაში „გამარჯვება ბარსას! იდეოლოგია, ნაციონალიზმი და ფიფას მსოფლიო თასი“, სადაც ის ამბობს, რომ საზოგადოებები არ არსებობენ ბუნებრივად, მათი ჩამოყალიბება ხდება საზოგადოების წევრების მიერ საერთო ღირებულებების გაზიარების გზით. შესაბამისად, ერები არსებობენ მხოლოდ იმიტომ, რომ გარკვეული ჯგუფის წევრები საკუთარ თავს მიჯნავენ სხვებისგან საერთო რწმენის, ცხოვრების წესის ან საერთო მიზნის გაზიარების შედეგად (Benjamin, 2012, გვ. 68).

მოვლენათა თანადროულობა (simultaneity) არის ერთ-ერთი მახასიათებელი, რომლითაც ბენედიქტ ანდერსონი ხსნის ნაციონალიზმს, როგორც საზოგადოების

წარმოსახვითობის შედეგს. მისი დაკვირვებით თანადროულობის ფაქტორი მე-18 საუკუნის ბოლოდან უფრო და უფრო ძლიერდებოდა ხალხებში, რამაც წარმოსახვითი საზოგადოებების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ანდერსონი გამოყოფს აღნიშნული ტრანსფორმაციის ორ ძირითად ფორმას - მწერლობას და ბეჭდურ მედიას. მისი თქმით, სწორედ ამ მექანიზმებით ხდება წარმოსახვითი საზოგადოებების კვლავწარმოდგენა და მათი ერებად ჩამოყალიბება (Anderson, 2006, გვ. 24-25). ანდერსონის თეორიის მიხედვით თუ რომელიმე პირობითი ამბის პერსონაჟები - ცოლ-ქმარი A და B იკამათებენ, და შემდეგ B გულს გადაუშლის თავის მსახურ C-ს, მაშინ მსახურ C-ს შეყვარებული D, რომელიც ამ დროს ბარში დროს ატარებს, იმავე საზოგადოების ნაწილია, რომლისაც პერსონაჟი A, მიუხედავად იმისა, რომ A და D ერთმანეთს არათუ არასდროს შეხვედრიან, არამედ შესაძლოა, არც იცოდნენ ერთმანეთის არსებობის შესახებ. ამ მოსაზრებას ანდერსონი ორი ძირითადი არგუმენტით ასაბუთებს: პირველი, A და D ერთსა და იმავე ტერიტორიულ ერთეულში ცხოვრობენ ერთდროულად (ერთსა და იმავე ქალაქში ან სოფელში) და მეორე, ყველა ეს პერსონაჟი მკითხველის დაკვირვების ქვეშ არის ერთდროულად, ერთსა და იმავე საათსა თუ კალენდარულ დროში. თუკი ამ მოდელს თანამედროვეობაში გადმოვიტანთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არცერთი ამერიკელი არ იცნობს პირისპირ ყველა ამერიკელს, თუმცა მას აქვს მყარი რწმენა იმისა, რომ სხვა მილიონობით ამერიკელი ამერიკაში ცხოვრობს და არსებობს. სწორედ ეს თანადროულობა, ანდერსონის აზრით, ქმნის საზოგადოების წარმოსახვითობის ახალ ილუსტრაციას (Anderson, 2006, გვ. 25-26). „წარმოსახვითი საზოგადოებების“ თეორიის საფუძველზე სვენ ისმერი წერს, რომ ერებს საკუთარი ერთობის წარმოსახვისთვის სჭირდებათ სხვადასხვა რიტუალები - აღლუმები, წლისთავები, სხვადასხვა ტიპის აღნიშვნები - რათა წარმოსახვითი ერის ემოციური განცდა მოხდეს, რა დროსაც ინდივიდუალური იდენტობა კოლექტიური იდენტობის ნაწილი ხდება და სოლიდარობის განცდას ერთობის წევრებს შორის კიდევ უფრო ამძაფრებს (Ismer, 2011, გვ. 551). თანამედროვე ეპოქაში მოვლენათა საკრალიზება ერთიანობის განცდის გასამძაფრებლად არაერთ მოვლენაში აისახება, საფეხბურთო კულტურა კი ერთ-ერთი შესაფერისი სივრცეა, სადაც ამგვარ საკრალიზაციაზე დაკვირვებაა შესაძლებელი, ამ მოსაზრების არგუმენტად კი

ისმერი ამბობს, რომ საფეხბურთო მოვლენები თავისი რიტუალებით ირეკლავს შესაბამისი საზოგადოებების ძირითად მახასიათებლებს და საერთო ნიშნებს (Ismer, 2011, გვ. 553-554).

პრესა „წარმოსახვითი საზოგადოების“ თეორიის მიხედვით ის სივრცეა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოსახვით კავშირებს სხვადასხვა მოვლენებს შორის. ეს მოვლენები განთავსებულია გაზეთის ნომერში, რომელსაც ერთი გამოშვების თარიღი აქვს, რითაც ანდერსონი კიდევ ერთხელ გვახსენებს თანადროულობის ფაქტორის მნიშვნელობას ერის წარმოსახვითობის კვლევისას (Anderson, 2006, გვ. 33). გარდა გაზეთის კუთხეში მითითებული თარიღისა, მნიშვნელოვანია ბეჭდური მედიისა და მომხმარებლის ურთიერთობა, როგორც მოვლენებს შორის წარმოსახვითი კავშირის წარმოქმნისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. ბეჭდური მედიის ფაქტორი ნაციონალიზმის წარმოშობაში მნიშვნელოვანია სამი ძირითადი მიზეზის გამო: პირველ რიგში ბეჭდურმა მედიამ შექმნა საერთო ენა, რომელიც შუალედურია გაუგებარ და მიუწვდომელ ლათინურსა და არალიტერატურულ ყოველდღიურ ენას შორის. ამ ენის საშუალებით ერთობების წევრებმა აღმოაჩინეს, რომ ერთსა და იმავე ერთობაში მილიონობით მათნაირი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ადამიანებმა უკეთ გაუგეს ერთმანეთს და კომუნიკაცია მათ შორის კიდევ უფრო გააქტიურდა. გარდა ამისა, ბეჭდურმა მედიამ მასებში ენისადმი ლოიალობა დაამკვიდრა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მკითხველებს უკვე აერთიანებდათ ერთი და იგივე ყველასთვის გასაგები ენა, რამაც ფენების ინდივიდუალობა მოსპო და ერთობის ერთიანობას გაუსვა ხაზი. და ბოლოს, ენის სხვადასხვა დიალექტების ორგანიზებულმა განფენილობამ, რაც რა თქმა უნდა პრესაშიც აისახა, მოაწესრიგა სხვადასხვა ერთობების ადმინისტრაციული დაყოფის აღქმა ხალხში (Anderson, 2006, გვ. 44-45). „ბეჭდური კაპიტალიზმი“ აყალიბებს ერთიანი კულტურის, საერთო ბედის, ისტორიისა და წინაპრების „წარმოსახვითვის“ შესაფერის გარემოს, რის საფუძელზეც იქმნება წარმოდგენა ერის შესახებ. აქედან გამომდინარე, ანდერსონის დასკვნით, ნაციონალიზმი გაგებული უნდა იქნეს არა როგორც პოლიტიკური იდეოლოგია, არამედ როგორც ფართო კულტურული სისტემა, რომელიც ქმნის საფუძველს პოლიტიკური მიზნებისა და მოძრაობებისთვის (დავითაშვილი, 2003, გვ. 122).

საბოლოოდ, ანდერსონის „წარმოსახვითი საზოგადოებები“ ხსნის, თუ როგორ ხდება საზოგადოების წარმოსახვა, რა დროსაც მნიშვნელოვანია პრესისა და ენის ფაქტორი. საფეხბურთო მოედნები ამ პროცესის ერთ-ერთი ნათელი ილუსტრირებაა: ათასობით გულშემატკივარი იკრიბება ტრიბუნებზე, ტელეეკრანებთან და ქუჩებში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთმანეთს არ იცნობენ, მათ მაინც საერთო მიზანი აერთიანებთ და მსგავს რეაგირებას ახდენენ სტადიონზე განვითარებულ მოვლენებზე.

მაიკლ ბილიგი საკუთარ თეორიას ბანალური ნაციონალიზმის შესახებ სწორედ ბენედიქტ ანდერსონის „წარმოსახვითი საზოგადოებებზე“ აფუძნებს, ამტკიცებს რა რომ ერი-სახელმწიფოები განისაზღვრებიან არა ობიექტური კრიტერიუმებით, როგორიცაა განსაკუთრებული ენა ან კულტურა, არამედ მათი ერთიან საზოგადოებად წარმოსახვით (Bilig, 1995, გვ. 10). მაიკლ ბილიგის თეორია ბანალური ნაციონალიზმის შესახებ ამბობს, რომ ნაციონალიზმი არის იდეოლოგიურ ჩვეულებათა ნაკრები, რომლებიც ერთობის წევრების ყოფაში არსებობს და ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ერების ყოველდღიურ რეპროდუქციას უწყობს ხელს. ამგვარი ყოველდღიური ჩვევების საფუძველზე ხდება ერების ე.წ. „Flagging” (სიტყვიდან flag, რომელიც „დროშას“ ნიშნავს), და რადგანაც ნაციონალიზმი ერებისთვის დამახასიათებელი ზოგადი განწყობაა, ყველა ერისთვის ის ენდემურ მდგომარეობად აღიქმება (Bilig, 1995, გვ. 6). ბილიგის თეორიის მიხედვით ბანალური ნაციონალიზმი არის პროცესი, რომლის დროსაც მოქალაქეებისთვის ყოველდღიურად ხდება იმის შეხსენება, რომ ისინი კონკრეტული ერის წარმომადგენლები არიან და მათ თავისი ადგილი აქვთ მსოფლიოში. ნაციონალიზმის ბანალურობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ამისათვის არ არის საჭირო განზრახ ააფრიალო ქვეყნის დროშა, ამისათვის საკმარისია, რომ დროშა უბრალოდ გამოფენილი იყოს რომელიმე შენობაზე თუნდაც შეუმჩნევლად. ის მაინც ნაციონალიზმის ყოველდღიური გამოვლინება იქნება (Bilig, 1995, გვ. 8). ბილიგი დროშის ფაქტორს განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს განიხილავს რა მის ორ ფუნქციას - სასიგნალოს და სიმბოლურს. მაშასადამე, დროშა არის საკომუნიკაციო საშუალება, რომელიც გარკვეული საზოგადოების წევრებს თავს ერთი ერთობის წევრებად აგრძნობინებს (Bilig, 1995, გვ. 39). ბანალური ნაციონალიზმის თეორია ამბობს, რომ ყველა სიმბოლო, რაც შეიძლება ახდენდეს

ამა თუ იმ ერთობის ერთგვარ ბრენდირებას - ვალუტა, ეროვნული ემბლემა - და რაც ყოველდღიურად ხვდება ნებისმიერ მოქალაქეს ჩვეულებრივ ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში, ახდენს ნაციონალიზმის რეპროდუქციას, რადგან ყველა ეს სიმბოლო ხდება ყოველდღიური წეს-ჩვეულების ნაწილი, რომელსაც მოქალაქეები ყოველგვარი წინასწარგანზრახვის გარეშე მისდევენ ისე, რომ შეიძლება ჩვევაში გადაზრდილი საქმიანობის დროს ვერც შენიშნონ, რომ საკუთარი ერთობის სიმბოლოებთან ყოველდღიური შეხება აქვთ (Bilig, 1995, გვ. 41-42).

ბილიგს ეთანხმება ალან ბერნერი, რომელიც თვლის, რომ სპორტი ყველა სხვა სოციალურ აქტივობაზე უფრო მეტად უწყობს ხელს ეროვნული სიმბოლოების - დროშების, ჰიმნების, ეროვნული ფორმების - წინ წამოწევას (Bairner, 2008, გვ. 43). ბერნერი ამტკიცებს, რომ გლობალიზაციამ ეროვნული ფაქტორი საერთაშორისო სპორტში და განსაკუთრებით ფეხბურთში მნიშვნელოვნად შეამცირა, თუმცა მიუხედავად ამისა, ეროვნული ნაკრებები საზოგადოებების სიმბოლურ წარმომადგენლებად აღიქმებიან, ამიტომ მათი სიმბოლურობა ყოველთვის აირეკლავს თავის თავში ამა თუ იმ საზოგადოებების ძირითად მახასიათებლებს ცნობიერად თუ ქვეცნობიერად (Bairner, 2008, გვ. 52).

თავისი თეორიის ჩამოყალიბებისას ბილიგი თვლის, რომ პრესა ხშირად „აფრიალებს დროშას“ ბეჭდური მედიის ფურცლებზე, ეს კი, როგროც წესი, ყოფელთვის სპორტის სექციაში ხდება განურჩევლად იმისა, როგორი პოლიტიკა აქვს ამა თუ იმ გაზეთს და ჟურნალს. და რადგანაც თანამედროვე სამყაროში სპორტი არ არის მხოლოდ სპორტი, სპორტული პრესა, როგორც წესი, თავის თავში მოიცავს ეროვნული, რასობრივი თუ გენდერული სტერეოტიპების ნაკრებს (Bilig, 1995, გვ. 119-120). მასკულინობის ფაქტორი სპორტის, როგორც ბანალური ნაციონალიზმის ერთ-ერთი ფაქტორის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით ხაზგასმულია ბილიგის თეორიაში: პრესა, რომელიც აშუქებს სპორტულ გამარჯვევებს თუ დამარცხებებს, მიმართულია მამაკაცების მობილიზაციისკენ, რადგან ისინი აღიქვამენ ამ მოვლენებს როგორც თავიანთი ღირსების საქმედ და ეროვნული ეგოს გამართლებად ან პირიქით, შელახვად (Bilig, 1995, გვ. 122-123).

ბილიგის ბანალური ნაციონალიზმის თეორიის კიდევ ერთი ნაწილია მოსაზრება, რომ სპორტი კულტურულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს, ამიტომ განსაკუთრებით საფრთხილოა ეროვნული გუნდების საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლა. სწორედ ამიტომ, ბილიგი თვლის, რომ აშშ-სთვის საერთაშორისო მასშტაბით პოპულარული სპორტის სახეობებით გამოსვლა ლოკალურ მასშტაბს დიდად არ სცილდება, რათა მას არ მოუწიოს შედარებით მცირე ქვეყნებთან დამარცხება, რაც შესაძლოა, მისი მსოფლიო ჰეგემონიისთვის გახდეს საფრთხე (Bilig, 1995, გვ. 150-151).

როგორც ვხედავთ, მაიკლ ბილიგის „ბანალური ნაციონალიზმის“ ძირითადი არსი მდგომარეობს ერის ყოველდღიურ განახლებაში, რაც ასახულია ყოფით დეტალებში, როგორიცაა დროშა. ფეხბურთი სავსეა სიმბოლოებით - დროშებით, გერბებით, ჰიმნებით, სპორტული ფორმებით, მოედნების გაფორმებით და ა.შ. შესაბამისად, მოფრიალე თუ დაშვებული დროშების მაგალითში გამოხატული ბანალური ნაციონალიზმი ხსნის იმ საფეხბურთო ფაქტორებს, რომლებიც ნაციონალიზმის ყოველდღიურ რეპროდუქციას უწყობს ხელს.

როგორც შესავალში აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთის, როგორც საზოგადოებების გამაერთიანებელი ფენომენის, ბუნებას სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციის მიმდინარეობის წარმომადგენლები კარგად ხსნიან, ისინი ნაკლებად იღებენ მხედველობაში პოლიტიკურ ფაქტორებს. რთულია იმის წარმოდგენა, რომ ფეხბურთი თავისი რიტუალური ბუნებით თავისთავად გახდება მასების მობილიზაციის გამომწვევი მოვლენა. ერიკ ჰობსბაუმი თავის წიგნში „ტრადიციათა გამოგონება“ აყალიბებს თეორიას, რომლის მიხედვითაც ტრადიციათა უმრავლესობა არის სხვადასხვა გამოცდილებათა ნაკრები, რომლებიც შეთანხმებული წესების მიხედვით ხორციელდება და აქვს რიტუალური ან სიმბოლური ფორმა და რომლებიც ნერგავენ გარკვეულ ღირებულებებს მათი პერიოდულად გამეორების გზით. ჰობსბაუმი ამგვარ ტრადიციებს ორ ძირითად ნაწილად ყოფს: ტრადიციათა ერთი ნაწილი ხელოვნურად არის გამოგონებული და კონსტრუირებული (როგორიცაა, მაგალითად, ყოველწლიური საშობაო ტრანსლაცია სამეფო ოჯახიდან), ხოლო მეორე ნაწილი ბევრად უფრო სწრაფად და ნაკლებშესამჩნევად

ყალიბდება ერთგვარ ტრადიციად. ამ უკანასკნელის რიგებში მოიხსენიებს ჰობსბაუმი ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის თასის ფინალს (Hobsbawm, 1983, გვ. 1). ტრადიციათა გამოგონების პროცესის სპორტის კონტექტსში განხილვისას წიგნის შესავალში ავტორი განასხვავებს წესებს, რომლებიც სპორტშია დამკვიდრებული და ტრადიციებს, რომლებიც ხელოვნურად გარკვეულ იდეოლოგიურ დატვირთვას იძენენ, მაგალითად, რბოლებში მონაწილეობისას ცხენოსნები, როგორც წესი, მჭიდრო ქუდებს იყენებენ, მოტოციკლისტები ჩაფხუტებს, რასაც პრაქტიკული დანიშნულება აქვს, თუმცა თუ ამ ქუდებს რომელიმე კონკრეტულ ფერში შევღებავთ, ეს უკვე სხვა დატვირთვას შეიძენს და ქუდის გამოყენების წესს ტრადიციად გარდაქმნის (Hobsbawm, 1983, გვ. 3).

ჰობსბაუმის თეორიას ეხმიანება იური სლეზკინი თავის სტატიაში „საბჭოთა კავშირი, როგორც კომუნალური ბინა, ანუ როგორ ახალისებდა საბჭოთა კავშირი ეთნიკურ განსაკუთრებულობას“. სლეზკინის თქმით საბჭოთა ნომენკლატურა განსაკუთრებით ზრუნავდა არარუსი ხალხების ნაციონალური სიამაყის გაღვივებაზე. ამგვარ პოლიტიკას ორი ძირითადი მიზანი ჰქონდა: ერთი მხრივ, საბჭოთა მმართველები ცდილობდნენ სოციალისტური იდეების გავრცელებას სრულიად საბჭოთა კავშირის მასშტაბით, რისთვისაც მათ პირველ რიგში სჭირდებოდათ აგიტატორები, რომლებიც ადგილობრივ „მშობლიურ“ ენაზე დაიწყებდნენ ამ მიზნის განხორციელებას, ხოლო მეორე მხრივ, იმპერიის სათავეში მოქცეული რუსი მმართველებისათვის საჭირო იყო არარუსი ერების ნდობის მოპოვება. აქედან გამომდინარე ყველა ნაციონალობას ჰქონდა განსაკუთრებული და „დიადი ტრადიციები“, რომლებიც საჭიროებდნენ დაცვას, გაუმჯობესებას და, საჭიროების შემთხვევაში, გამოგონებას (Slezkine, 1994, გვ. 450).

ჩეხი ისტორიკოსი მიროსლავ ჰროში იკვლევს ე.წ. „არადომინანტი“, “პატარა“ ანუ „ჩაგრული“ ერების ჩამოყალიბების პროცესს. „პატარა“ ერი მის ფუნდამენტურ ნაშრომში „ნაციონალური გამოცოცხლების სოციალური წანამძღვრები“ განმარტებულია, როგორც სხვა „დომინანტი“ მმართველი ძალისადმი იმდენად ხანგრძლივად დაქვემდებარებული ერი, რომ ამ ორ ძალას შორის გარკვეული სტრუქტურული ურთიერთობაა ჩამოყალიბებული (Hroch, 1985, გვ. 9). მისი თქმით, თანამედროვე ერების ჩამოყალიბების

ორი ძირითადი პროცესიდან ერთ-ერთია „პატარა“ ერების ჩამოყალიბება მაშინ, როცა ამ პროცესის დროს მათ ა) არ გააჩნდათ საკუთარი მმართველი კლასი, რომელიც მათი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი იქნებოდა, ბ) გააჩნდათ საკუთარი ეთნიკური და ისტორიული ერთიანობის განცდა თუმცა სახელმწიფოებრიობის ნაკლები გამოცდილება და გ) ჰქონდათ კულტურული თვითწარმოების და ფუნქციონირების შეზღუდული გამოცდილება (Hroch, 1985, გვ. 8-9). სწორედ ამგვარ პროცესებს განიცდიდა ქართველი ერი საბჭოთა კავშირის ფარგლებში, რისთვისაც საბჭოთა ნომენკლატურას „კომუნალური ბინის“ შექმნის პოლიტიკისკენ უბიძგა და სპორტი ნაციონალიზმისა და ეროვნული იდენტობის კონტროლისთვის გამოიყენა (Uchiumi, 2010, გვ. 1).

1.2. მეთოდოლოგია

იმისთვის, რომ დადგინდეს ლოგიკური კავშირი ფეხბურთსა და ნაციონალიზმს შორის საქართველოში 1960-1980-იან წლებში, კვლევის პროცესში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის თვისებრივი მეთოდოლოგია. *დისკურს-ანალიზის* გზით ნაშრომში წარმოდგენილია შესაბამისი პერიოდის პრესის მიმოხილვა. მონაცემთა დამუშავების პროცესში ობიექტურობის შენარჩუნებისთვის აუცილებელია, ყურადღება მიექცეს როგორც სპორტულ, ისე არასპორტულ გამოცემებს. აღნიშნული ბალანსის დასაცავად შერჩეულია ერთ-ერთი ყველაზე ძველი ქართული სპორტული გამოცემა „ლელო“ და, მასთან ერთად, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი გაზეთი „კომუნისტი“. ამ ორ წყაროში გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც ეხება 1960-1980-იან წლებში ქართულ ფეხბურთში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს, სასარგებლოა იმ ზოგადი რიტორიკის წარმოსაჩენად, რომელიც იმ დროისათვის ქართულ საზოგადოებაში არსებობდა.

ქართულ ფეხბურთთან დაკავშირებულ დოკუმენტურ ფილმებში მოცემული მასალის დამუშავება *კონტენტ-ანალიზის* ფარგლებში მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ქართულ ფეხბურთში არსებული ფაქტების გასააზრებლად, ხოლო, მეორე მხრივ,

საზოგადოების ამ ფაქტებისადმი დამოკიდებულების გასააანალიზებლად. საყურადღებოა აღნიშნულ პერიოდში გადაღებული ქართული მხატვრული ფილმები, სადაც ასახულია 1960-1980-იან წლებში ქართული საზოგადოების ყოველდღიურობა. ისინი, შეიძლება, პირდაპირ არ ეხებოდეს ქართულ ფეხბურთს, თუმცა მათ მნიშვნელოვან ნაწილში ეპიზოდურად წარმოჩენილია მისი როლი ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს კი სასარგებლო ინფორმაციას მოგვაწვდის იმის შესახებ, თუ რამდენად აქტიურად ჰქონდა სპორტის ამ სახეობას ფეხი მოკიდებული საქართველოში და რამდენად გავლენიანი იყო ის ზოგადი განწყობების შესაქმნელად მასებში. კვლევისთვის საინტერესო იქნება, აგრეთვე, ქართველი მწერლებისა და ავტორების მემუარული თუ მხატვრული ჩანაწერები. ასეთებად შეიძლება მოვიაზროთ დათო ტურაშვილის წიგნი „მე რომ ფეხბურთელი ვიყო“, აკა მორჩილაძის „ასი გირვანქა სტერლინგით შორს“, გურამ ფანჯიკიძის ნაშრომები საბჭოთა ფეხბურთის შესახებ, დემიკო ლოლაძის მოგონებები და სხვა.

კონტენტ-ანალიზის გზით დამუშავებული ინფორმაციის შესავსებად და სრული სურათის მისაღებად საჭირო გახდა *ფოკუს-ჯგუფის ფორმატის დისკუსიების* ჩატარება. კვლევის ფარგლებში სამი დისკუსია ჩატარდა. რესპონდენტთა ძირითადი ნაწილი 55-70 ასაკობრივ კატეგორიას მიეკუთვნება, რაც საშუალებას იძლევა, უშუალოდ პირველწყაროების მოგონებები გაანალიზდეს 1960-1980-იან წლებში საზოგადოების დამოკიდებულებების დინამიკის აღსაქმელად.

სიღრმისეული ინტერვიუები, რომლებიც ფეხბურთთან დაკავშრებულ სხვადასხვა „სტეიკჰოლდერებთან“ - ფეხბურთელებთან, გულშემატკივართა ნაწილთან და სპორტულ ჟურნალისტებთან - ჩატარდა, წარმოაჩენს საკვლევ საგანს ქართული ფეხბურთის განვითარების, როგორც პროცესის, უშუალო მონაწილეთა რაკურსით და შეავსებს თვისებრივი მეთოდოლოგიის სხვა მეთოდებით მიღებულ ინფორმაციას.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

ნაციონალიზმის ფენომენისადმი მეცნიერული ინტერესი მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნული დისციპლინის მიმართ მკვლევართა ყურადღება განაპირობა დეკოლონიზაციის პროცესის, სსრკ-ს დაშლისა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში ახალი სახელმწიფოების წარმოქმნის თანმდევმა პროცესებმა, რომლებიც ცალსახად იყო დაკავშირებული ნაციონალისტური განწყობების აღზევებასთან. შედეგად არაერთმა მეცნიერმა სცადა გამოეკვლია საკითხი სხვადასხვა მიდგომებით. ფეხბურთი მოდერნიზმისა და ინდუსტრიალიზაციის პროდუქტად ითვლება, ეს არის ეპოქა, როდესაც ის განსაკუთრებულ პოპულარობას იძენს და ემთხვევა ერი-სახელმწიფოების კონცეფციის მეცნიერული კვლევის საგნად ჩამოყალიბებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ კონკრეტული ნაშრომის ფარგლებში ყურადღება მიექცევა ავტორებს, რომლებიც მოდერნისტებად მიიჩნევიან და ნაციონალიზმის წარმოშობას თანამედროვე ეპოქას უკავშირებენ. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს ბოლო დროს განვითარებული ტენდენცია, რომლის შედეგადაც ფეხბურთის სხვადასხვა განზომილებების კვლევის შედეგად არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი შეიქმნა სპორტის ამ სახეობისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ჯონ ჰანტერი სტატიაში *„მოფრიალე დროშა: იდენტობები, ერი და სპორტი“* მიმოიხილავს რა სპორტის გარშემო შექმნილ აკადემიურ ნაშრომებს, აღნიშნავს, რომ საკითხით სამეცნიერო წრეები მხოლოდ 1980-იანი წლებიდან დაინტერესდნენ. ჯონ ჰარგრივსსა და ალან ბერნერს კი ფეხბურთისა და ერების ურთიერთკავშირის შესახებ შექმნილი კვლევების პიონერებად მოიაზრებს (Hunter, 2010, გვ. 411).

ალან ბერნერის ავტორობით გამოცემული სტატია *„სპორტის სოციოლოგიის შეფასება: ნაციონალური იდენტობისა და ნაციონალიზმის შესახებ“* მნიშვნელოვანი შრომაა სპორტის სხვადასხვა სახეობების განსხვავებულ პრიზმაში წარმოსადგენად. ტექსტის ფარგლებში ის მიმოიხილავს სპორტის სოციალური მხარის კვლევის ძირითად ტრაექტორიებს, იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც დგას სპორტის სოციოლოგია, როგორც

კვლევის დამოუკიდებელი საგანი და მისი სამომავლო პერსპექტივები. როგროც ბერნერი ასკვნის, სპორტი არის სწორედ ის მოვლენა, რომელიც ადასტურებს მკვლევართა ნაწილის მოსაზრებას, რომ გლობალიზებულ სამყაროში ნაციონალიზმი არ გამქრალა და ის განსაკუთრებით აშკარაა სპორტული შეჯიბრებების დროს, როდესაც ერთმანეთის წინააღმდეგ სხვადასხვა ერები აღმოჩნდებიან (Bairner, 2014, გვ. 378).

ფეხბურთისა და ისტორიის ურთიერთკავშირის შესახებ მნიშვნელოვან დასკვნებს გვთავაზობს რასელ ჰარგრეივი თავის სტატიაში *„ფეხბურთის გულშემატკივარი და ფეხბურთის ისტორია: მიმოხილვა"*, სადაც ის ამტკიცებს, რომ საფეხბურთო ისტორიებისა და მეხსიერების ანალიზს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ეროვნულ-იდეოლოგიური მოტივების გაღვივების თვალსაზრისით (Hargrave, 2007, გვ. 240). ამ დებულების დასაბუთებას ის ორი წიგნის მიმოხილვის მეშვეობით ცდილობს. საიმონ კუპერის ნაშრომს „აიაქსი, ჰოლანდია, ომი: ევროპული ფეხბურთი მეორე მსოფლიო ომის დროს"(Kuper, 2003) ჰარგრეივი მნიშვნელოვნად თვლის, როგორც ფუნდამენტურ ნაშრომს, რომელიც აღწერს ფეხბურთს და მის როლს ოკუპაციურ პირობებში. ავტორისთვის მთავარი მესიჯებია ის, თუ როგორი იყო ჰოლანდიაში ებრალების აღქმა მეორე მსოფლიო ომის დროს, როგორ გავლენას ახდენდა ეს აღქმა ჰოლანდიელების იდენტობაზე და როგორ გამოიხატებოდა ამგვარი ურთიერთგავლენა ჰოლანდიურ საკლუბო ფეხბურთში. ფეხბურთისა და ისტორიის კავშირის საილუსტრაციოდ ავტორისთვის ნიშანდობლივია დავიდ ვინერის წიგნი *„ეს ტერფები: ინგლისური ფეხბურთის ემოციური ისტორია"* (Winner, 2005), რომელზე დაყრდნობითაც ის ამტკიცებს, რომ ფეხბურთის ისტორია არის ის ტრაექტორია, რომელიც შეიძლება მარტივად იყოს გამოყენებული სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ ტრადიციების კონტროლისთვის (Hargrave, 2007, გვ. 241).

ფეხბურთის სოციალური განზომილების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნაშრომად ითვლება ფრანკლინ ფოიერის წიგნი *„როგორ აგვიხსნა ფეხბურთმა მსოფლიო: გლობალიზაციის სხვაგვარი გააზრება"*, სადაც ავტორი მოიაზრებს ფეხბურთს, როგორც გლობალიზაციის განუყოფელ ნაწილს და ცდილობს, გადმოსცეს ის გავლენა, რომელიც აქვს სპორტის ამ სახეობას ნაცინალიზმებზე სხვადასხვა ერთობებში ღრმად გლობალიზებულ

მსოფლიოში. აღნიშნულ კვლევაში განსაკუთრებული ინტერესის საგანი იქნება წიგნის მესამე თავი, სადაც ავტორი აანალიზებს, თუ ხდება საფეხბურთო ტრადიციების დაცვის გზით ეროვნული იდენტობის შენარჩუნება და ნაციონალისტური განწყობების გაღვივება (ფოიერი, 2013, გვ. 15). ფოიერი სხვადასხვა ტიპის საზოგადოებების (ქალაქები, სახელმწიფოები, ეთნიკური ჯგუფები და ა.შ.) მაგალითების მოყვანის გზით ახდენს იმ ფაქტის ილუსტრირებას, რომ ფეხბურთი ადვილად ხდება საიმედო თავშესაფარი იდენტობის შესანარჩუნებლად და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანთა უზარმაზარი მასების ემოციურ გრძნობებზე.

ფეხბურთის და ნაციონალიზმის ურთიერთკავშირის ერთ-ერთი ფუნდამენტური მკვლევარია სვენ ისმერი. სტატიაში *„ერის ხორცშესხმა: ფეხბურთი, ემოციები და კოლექტიური იდენტობის მშენებლობა“* ის ამბობს, რომ ნაციონალიზმთან და ერებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა არ უნდა მოხდეს ემოციების სიღრმისეული ანალიზის გარეშე, რადგან ემოციები არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი წარმოსახვითი საზოგადოების - ანუ იდეის - ხორცშესხმის გზაზე. მსგავსი ჩვეულებების ყოველდღიური რიტუალიზება არის სწორედ კოლექტიური ემოციების გაზიარების პროცესი, რაც ამა თუ იმ ერისთვის მიკუთვნებულობის განცდას აღრმავებს (Ismer, 2011, გვ. 560). აღნიშნული ჰიპოთეზის საილუსტრაციოდ ისმერი იყენებს სხვადასხვა ავტორების მტკიცებას იმის შესახებ, რომ ფეხბურთი გააზრებული უნდა იყოს, როგროც სოციალური სტრუქტურების ჩამოყალიბების ერთ-ერთ არენად, რადგან ფეხბურთს სწორედაც რომ ახასიათებს რიტუალური ჩვეულებები, რომლებიც გაზიარებულია ფართო მასების მიერ. ფეხბურთი არის კულტურული რუტინა, რომელიც ამავე დროს პერიოდულად განმეორებადია და შედეგად ის ხელს უწყობს გარკვეული სოციალური წესრიგის ჩამოყალიბებას (Ismer, 2011, გვ. 553). ისმერი სტატიაში აანალიზებს მედიის მიერ 1974 და 2006 წლებში გერმანიაში გამართული ორი მსოფლიო ჩემპიონატის გაშუქებას მედიის მიერ, რაც მას საშუალებას აძლევს, წარმოადგინოს შედარებითი ანალიზი ფეხბურთთან დაკავშირებული ემოციების და რიტუალების მნიშვნელობის შედარებითი ანალიზი ერის ხორცშესხმის პროცესში.

ფეხბურთისა და ეროვნული იდენტობის მჭიდრო ურთიერთკავშირის შესახებ აკადემიური ნაშრომები განსაკუთრებული ინტენსივობით იქმნება იმ რეგიონებისა და საფეხბურთო გუნდების შესახებ, რომლებიც გამორჩეულია ფეხბურთისადმი სხვადასხვა ემოციური თუ ნაციონალური დატვირთვის მინიჭებით. განსაკუთრებით თვალშისაცემია ლიტერატურა ესპანური ფეხბურთის შესახებ, რის შესახებაც წერენ სეზარ გარსია, ხორხე ტუნონი, ქერი ბენჯამინი, ქრისტოს კასიმერისი და სხვები.

ფეხბურთის ფენომენის კავშირს იდენტობასთან და ნაციონალიზმთან აანალიზებს სეზარ გარსია სტატიაში *„ნაციონალიზმი, იდენტობა და გულშემატკივართან ურთიერთობის მნიშვნელობა საფეხბურთო კლუბ ბარსელონაში“*. გარსია ამტკიცებს, რომ ისტორიულად კლუბი ცდილობს განსაკუთრებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას თავის ქომაგებთან, რადგან სოციალური და ინდივიდუალური იდენტობა, რომელსაც გულშემატკივრებს საფეხბურთო კლუბებისადმი ერთგულება უყალიბებს, ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე კლუბის პოლიტიკური გზავნილები (Garsia, 2012, გვ. 1). გარსია ს.კ. „ბარსელონას“ მიიჩნევს სწორედ იმ კლუბების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად, რომლებმაც შეძლეს და ტერიტორიასთან დაკავშირებული (place-based) იდენტობა ჩამოაყალიბეს კატალონიელი გულშემატკივრისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფეხბურთის როლი ჯგუფური იდენტობების ჩამოყალიბების პროცესში, როდესაც მასების მიერ ხდება „ჩვენი“ და „სხვისი“ ერთმანეთისგან გამიჯვნა (Garsia, 2012, გვ.). საბოლოოდ, გარსია ასკვნის, რომ რადგანაც ფეხბურთს - და კერძოდ, ს.კ. ბარსელონას - შეუძლია ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს გულშემატკივრის განწყობებსა და იდენტობის ფორმირებაში, რასაც ადასტურებს კლუბის სლოგანიც - „მეტი, ვიდრე კლუბი“.

ევროპის რამდენიმე ქვეყანაში განსაკუთრებით იკვეთება ფეხბურთის როლი სხვადასხვა ტიპის ნაციონალიზმების გაღვივებაში. ესპანეთში სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა არა მხოლოდ საკუთრივ ესპანური იდენტობის ჩამოყალიბებაში თამაშობს მნიშვნელოვან როლს, არამედ ქვეყნის შიგნით არსებულ პერიფერულ ნაციონალიზმებში. ხორხე ტუნონი და ელისა ბრეი თვლიან, რომ სპორტი, და განსაკუთრებით, მისი ყველაზე პოპულარული სახეობა - ფეხბურთი, ურთიერთკავშირშია

გლობალიზაციის პროცესის როგორც სოციალურ (კულტურულ), ისე პოლიტიკურ განზომილებასთან (Tunon & Brey, 2012, გვ. 27). ტუნონი და ბრეი აქტიურად იკვლევენ ფეხბურთის გავლენას ნაციონალიზმის სხვადასხვა დონეებში და სტატიაში *„სპორტი და პოლიტიკა ესპანეთში - ფეხბურთი და ნაციონალისტური მიდგომები ბასკეთსა და კატალონიაში“* აღნიშნავენ, რომ ფეხბურთი აქტიურად გამოიყენება პოლიტიკური, ეროვნული თუ რეგიონული იდენტობების ჩამოყალიბების პროცესში (Tunon & Brey, 2012, გვ. 7). ავტორები სოციოლოგიური თეორიების საფუძველზე ასკვნიან, რომ როდესაც ამა თუ იმ ერთობის წევრები იწყებენ მათი ეროვნული გუნდის გულშემატკივრობას, ისინი დროებით ივიწყებენ სხვადასხვა სოციალურ კონფლიქტებს და ერთიანდებიან საერთოდ დროშის ქვეშ (Tunon & Brey, 2012, გვ. 9). სწორედ ეს ასპექტი ხდება ფეხბურთის, როგორც სპორტსი ყველაზე პოპულარული და გავრცელებული სახეობის, მთავარი ინსტრუმენტი სოლიდარობის გრძნობის გასამძაფრებლად კონკრეტული საზოგადოებების თვითშეგნების ჩამოყალიბების პროცესში.

ტუნონს & ბრეის და გარსიას ერთანხმება ქერი ბენჯამინიც იმაში, რომ საფეხბურთო კლუბმა შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს ტერიტორიული იდენტობის ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა კონკრეტული ერთობა გარკვეული საფრთხის წინაშე დგას. სწორედ ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ის სტატიაში *„გამარჯვება ბარსას! იდეოლოგია, ნაციონალიზმი და ფიფას მსოფლიო თასი“* მიმოიხილავს ს.კ. ბარსელონას როლს კატალონიური იდენტობის შენარჩუნებაში ფრანკოს მმართველობის პირობებში. ის წერს, რომ სწორედ ამ ხანებში ბარსა (როგორც მას საკუთარი გულშემატკივრები უწოდებენ) იყო კატალონიელი ნაციონალისტების სიმბოლური საბრძოლო არენა, რომელსაც თითქმის ეროვნული გუნდის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული რეგიონში (Benjamin, 2012, გვ. 66). განსხვავებით სხვა ზემოთ განხილული ავტორებისგან ბენჯამინი თვლის, რომ ს.კ. ბარსელონამ განსაკუთრებული როლი კატალონიური იდენტობის შენარჩუნებაში სწორედ ფრანკოს რეჟიმის ქვეშ ითამაშა. როდესაც ქვეყანაში მასობრივად დაიწყო რეგიონული იდენტობების შევიწროება და ადგილობრივი კულტურული მარკერების მოსპობა სხვადასხვა გზით, კატალონიაში ადგილობრივ ენაზე

საუბრობდნენ მხოლოდ საკუთარ სახლებში (პრივატულ საუბრებში) ან საფეხბურთო ტრიბუნებზე, სადაც ათობით ათასი გულშემატკივარი იკრიბებოდა და ერთმანეთთან ურთიერთობდა (Benjamin, 2012, გვ. 67). ბენჯამინის თქმით, კლუბის სტადიონი იყო სწორედ ის ადგილი, სადაც იდენტობის სხვადასხვა სიმბოლოების - ენის, დროშის, ადგილობრივი სიმღერების „კვლავწარმოება" ხდებოდა, რაც იყო ერთი მხრივ, ფიზიკური ვიზუალიზაცია ერთობისა, ხოლო მეორე მხრივ, ოპოზიციური განწყობების გარეთ გამოშვება (Benjamin, 2012, გვ. 68).

კიდევ უფრო ფართოდ შლის თემას ქრისტოს კასიმერისი თავის სტატიაში *„ფრანკო, პოპულარული თამაში და ესპანური ფეხბურთის ეთნოცენტრული კამპანია"*. ტუნონისგან და ბრეისგან განსხვავებით ის იკვლევს ნაციონალიზმის გავლენას ესპანურ ფეხბურთზე და არა პირიქით, თუმცა ავტორი ქერი ბეჯამინის მსგავსად აღნიშნულ პროცესში საკვანძო ეპიზოდად სწორედ ფრანკოს დიქტატორულ მმართველობას მიჩნევს (Kassimeris, 2012, გვ. 559). ორი ცვლადის - ფეხბურთისა და ნაციონალიზმის ურთიერთკავშირის აღწერისას ავტორი ამბობს, რომ ძალიან აშკარაა, როგორ გამოიყენებოდა ფეხბურთი ფაშისტური იდეოლოგიის პროპაგანდისთვის და, სწორედ ამიტომ ითამაშა მან მნიშვნელოვანი როლი ესპანური ნაციონალიზმის გასაღვივებლად (Kassimeris, 2012, გვ. 559).

სუფიან ზემუხოვი სტატიაში *„ეთნიკური და სახელმწიფო სპორტი 2014 წლის სოჭის ოლიმპიადის კონტექსტში"* საკითხის კვლევისას საინტერესოა იმ გაგებით, რომ ავტორი საფუძლიანად მიმოიხილავს რუსეთის, როგორც მრავალეთნიკური ქვეყნის მაცხოვრებლების ორმაგ იდენტობას - ეთნიკურს და სამოქალაქოს (Zhemukhov, 2014, გვ. 349). აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვანია იმის გასააზრებლად, თუ როგორ აყალიბებს სპორტული მოვლენები იდენტობებს სხვადასხვა დონეზე და როგორ მუშაობს სახელმწიფო ინსტიტუტები ამ მექანიზმის ეფექტურად მართვისთვის მასების თვითშეგნების ჩამოყალიბების ან ტრანსფორმაციის პროცესში.

დევიდ როუი თავის სტატიაში *„შუამავალი ერი და ფეხბურთის ტრანსნაციონალური გულშემატკივარი"* მიმოიხილავს ურთიერთგავლენას სპორტს, მედიას, იდენტობასა და ეროვულ კულტურულ მოქალაქეობას შორის (Rowe, 2015, გვ. 693). ემპირიული

დაკვირვების, ინტერვიუების, ფოკუს ჯგუფების ფორმატის დისკუსიების მეშვეობით ავტორი ასკვნის, რომ ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა, გულშემატკივარი არც დადიოდეს სტადიონზე თამაშების საყურებლად, თუმცა მედია ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ ის საქმის კურსში იყოს მიმდინარე მოვლენებისა და, შესაბამისად, გულშემატკივრის სტატუსი გარკვეულ დონეზე შეინარჩუნოს. ასეთ დროს ნარჩუნდება ასევე ემოციური ბმა საზოგადოებასა და ქვეყნის ეროვნულ გუნდებს შორის. ამავე სტატიაში როუი ამტკიცებს, რომ ფიზიკური „სახლი" ყველა გუნდს აქვს, და მასში იგულისხმება სტადიონი, რომელზეც გუნდი საშინაო მატჩებს ატარებს. სტადიონები ხანდახან ნახევრად რელიგიურ დატვირთვასაც კი იძენს და „აღთქმულ მიწად" აღიქმება გულშემატკივრისთვის (Rowe, 2015, გვ. 694).

ზემოთ მიმოხილული აკადემიური მასალის კვალდაკვალ მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს ქართული ფეხბურთის შესახებ შექმნილ ლიტერატურას. საბჭოთა პერიოდის ფეხბურთის შესახებ აქტიურად წერდა გურამ ფანჯიკიძე. მას ეკუთვნის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატების მიმოხილვები, გამოცემული ისეთ წიგნებად, როგორიცაა *„მარადონა რეი", „მექსიკა ბურთით და უბურთოდ", „ფორცა, იტალია!", „ფეხბურთის სამშობლოში", „არგენტინა! არგენტინა!".* აღნიშნული შრომები საყურადღებო წყაროს წარმოადგენს 1960-1980-იან წლებში საბჭოთა ფეხბურთის გლობალურ ფონზე გასააზრებლად და, ამასთან ერთად, ქართველი სპორტსმენების მიერ საბჭოთა ნაკრებში გაწეული სამუშაოს გასაანალიზებლად (ფანჯიკიძე, 1982; ფანჯიკიძე, 1987).

საბჭოთა პერიოდში ქართული ფეხბურთის შიდა სამზარეულოს წარმოადგენს ცნობილი სპორტული ჟურნალისტის ოთარ გაგუას მიერ შეკრებილი ბორის პაიჭაძის ავტობიუგრაფიული ჩანაწერები. ამავე სახელწოდების წიგნში სახელოვანი ფეხბურთელის ცხოვრების დეტალებთან ერთად მოცემულია ის ბიუროკრატიული თუ სხვა სახის გამოწვევები, რომლებიც საბჭოთა ფეხბურთში არსებობდა პოლიტიკური ელიტების მიერ სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღების დროს. საყურადღებოა, ასევე, პაიჭაძის და მასთან ერთად მისი თანაგუნდელების ურთიერთობებზე დაკვირვება ერთმანეთთან და გულშემატკივართან (გაგუა, 1975). ცალკეული ფეხბურთელებისადმი მიძღვნილი მცირე

ჩანაწერები, ცხადია, გარკვეულ სურათს გვაძლევს საზოგადოების დამოკიდებულებაზე მათ მიმართ და, შესაბამისად, მათ როლზე მასების მობილიზაციის პროცესში. მინდია მოსაშვილის ნარკვევი *„N1 ფეხბურთელი“* რამაზ შენგელიას ეძღვნება. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები საუბრობენ მის წვლილზე გუნდის წარმატებაში და ხაზს უსვამენ იმას, თუ რაოდენ საამაყოა შენგელიას რეკორდები საკავშირო მასშტაბით (მოსაშვილი, 1979).

დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდის ჩანაწერებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აკა მორჩილაძის გაზეთ „სარბიელისთვის“ შექმნილი სპორტული სვეტის სტატიების კრებული (მორჩილაძე, 2012; მორჩილაძე, 2013), სადაც სპორტის სხვა სახეობებთან ერთად მწერალი აანალიზებს ქართულ ფეხბურთში განვითარებულ პროცესებსაც და გამოხატავს საკუთარ აზრს ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. თავის წიგნში *„ასი მილიონი გირვანქა სტერლინგით შორს“* მორჩილაძე მსოფლიო ფეხბურთის განსაკუთრებულ მოვლენებთან ერთად ახლო წარსულის ქართულ საფეხბურთო ამბებსაც ეხება და ეპიზოდურად განიხილავს წარსულში დიდებულ ქართულ ფეხბურთს თანამედროვესთან შედარების გზით (მორჩილაძე, 2015). არადოკუმენტური ქართული ლიტერატურიდან აუცილებლად უნდა აღინიშნოს მწერალ დათო ტურაშვილის მემუარული ჩანაწერები სათაურით *„მე რომ ფეხბურთელი ვიყო“,* სადაც თავისი პირადი ისტორიების გახსენებისას ის გვაწვდის საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას საბჭოთა კავშირის ბოლო წლებში თბილისის „დინამოს“ წარმატებებისა და იმ პერიოდის ქართული საზოგადოებრივი დამოკიდებულებების შესახებ (ტურაშვილი, 2011).

ერთ-ერთი ყველაზე ბოლო ნაშრომი, რაც თბილისის „დინამოს“ შესახებ შეიქმნა, არის ლაშა გოდუაძის *„ბასკებით დაწყებული ისტორია: თბილისის „დინამოს“ საერთაშორისო მატჩები 1937-2017“.* წიგნში ავტორი მიმოიხილავს ქართული საფეხბურთო გუნდის საერთაშორისო ასპარეზობებს, რომელთა ათვლაც 1937 წლის 24 ივლისს თბილისში ბასკებთან წაგებული თამაშით იწყება. აქ ასევე მოცემულია წერილები ისეთი მნიშვენლოვანი საერთაშორისო გასვლების შესახბ, როგორიცაა პირველი საერთაშორისო ტურნე უცხოეთში - 1944 წელს ირანში, პირველი სტუმრობა ფეხბურთის სამშობლოში - 1960

წელს ინგლისში, დებიუტი ევროპის საკლუბო ტურნირებში - 1972 წელს უეფას თასზე გამართული შეხვედრები და მრავალი სხვა (გოდუაძე, 2017).

3. ქართული ფეხბურთის როლი მასების მობილიზაციის პროცესში

ფეხბურთს, როგორც სპორტის სახეობას, რომელიც თავის თავში მოვლენათა სხვადასხვა ეტაპებს და ფორმებს მოიცავს, შეუძლია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს თავის გარშემო ერთიანობის და სოლიდარობის შეგრძნების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებაში. სპორტის ამ სახეობას ახასიათებს არაერთი თავისებურება, რომელიც მას კოლექტიური თვითშეგნების ჩამოყალიბების მედიუმად აქცევს.

როდესაც საქმე ეხება მასების მობილიზაციას ფეხბურთის გარშემო, გულშემატკივარი მოვლენების ერთ-ერთი უმთავრესი მოთამაშე ხდება. ის თავისი ქცევის კომპლექსურობით ფეხბურთს ანთროპოლოგიური კვლევის საგნადაც კი აქცევს (Budka & Jacono, 2013). გლენ დუერი ერთ-ერთ სტატიაში იშველიებს ერიკ ჰობსბაუმის გამონათქვამს, რომლის მიხედვითაც მილიონობით ადამიანის წარმოსახვითი საზოგადოება თერთმეტი მოთამაშის გარშემო ბევრად რეალური ჩანს, რადგან ერთი ადამიანიც კი, რომელიც ერთობლივ შეძახილშია ჩაბმული, თავისი საკუთარი ერის სიმბოლო ხდება (Duerr, 2016. გვ. 2; Hunter, 2010. გვ. 412). ამავე დროს, ქეთრინ ბეიკერი ხაზს უსვამს, რომ რადგანაც ფეხბურთი, როგროც სპორტის სახეობა შეჯიბრებითობის პრინციპზეა დაფუძნებული, ის ხშირად იქცევა ხოლმე სხვადასხვა ერებს თუ ხალხებს შორის დაპირისპირების სიმბოლოდ (Baker, 2016, გვ. 857).

1960-1980-იან ფეხბურთი ქართულ საზოგადოებაში კოლექტიური იდენტობის გაძლიერებასა და მასების მობილიზაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. სპორტული ჟურნალისტი ოთარ გაგუა ამბობს: *„ფეხბურთი ეს არ არის მარტო ბურთის გორება, ჩვენთვის ამას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა.“* (Film Archieve of Georgia, 2014).

3.1. ფეხბურთი და მასების მობილიზაცია

ფეხბურთს, თავისი მრავალმხრივი ბუნებიდან გამომდინარე, ეროვნული თვითშეგნების ფორმირებისა და განვითარების პროცესში სხვადასხვაგვარი როლის თამაში

შეუძლია. ის, ერთი მხრივ, საზოგადოებების ინდივიდუალიზმსა და გამორჩეულობას უსვამს ხაზს გარესამყაროსთვის, ხოლო მეორე მხრივ ერთნაირი პოპულარობით ვრცელდება საზოგადოებების შიგნით სხვადასხვა სოციალურ ფენებში და მათთვის ერთიანი კომუნიკაციის შექმნას უწყობს ხელს (Rojo-Labaien, 2014, გვ. 3).

ფეხბურთის რიტუალური ხასიათი მნიშვნელოვნად განაპირობებს იმას, რომ სპორტის ამ სახეობას თავის თავში საკმაოდ დიდი მასების ჩართვა შეუძლია. ერთი შეხედვით, გულშემატკივრობის მასობრიობა ქაოსურია, სპონტანური და იმპულსური, თუმცა გულშემატკივრის ქცევათა რიტუალური ფორმა გარკვეულ ლოგიკას და წესრიგს მაინც ექვემდებარება. კონკრეტულ გუნდებთან ნებისმიერი ფორმით დაკავშირებული საზოგადოებები ხშირად გაუცნობიერებლადაც კი ერთვებიან იმ ემოციურ სინქრონში, რომელიც საფეხბურთო მოვლენებს თან ახლავს. ეს პროცესი კი მნიშვნელოვანი ფაქტორია ამა თუ იმ ერთობის შიგნით სოლიდარობის შეგრძნების გამძაფრებისთვის.

ამ თვალსაზრისით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გულშემატკივართა მასების ქცევის ანალიზი და მისი კავშირის დადგენა იდენტობასთან, რასაც ცდილობს პოლ ეშმორი, როცა წერს, რომ ემოციური წარმოდგენები (performance), რომლებსაც გულშემატკივრები თავისდა უნებურად ტრიბუნებზე დგამენ, არის იმ საერთო იდენტობის გამოხატულება, რომელიც ქვეცნობიერად უკვე შეთანხმებულია, გააზრებული და განვითარებული ერთობის წევრებს შორის, შესაბამისად, სტადიონები ხდება კოლექტიურ ღირებულებათა დემონსტრირების იდეოლოგიური სივრცე ხდება (Ashmore, 2014, გვ. 2). ისმერი, ბეიერი, სოლმს-ბარუთი და ვონ შივი სწორედ ამ პროცესებს უსვამენ ხაზს, როცა ისინი ფეხბურთის სოციალური შედეგების ანალიზის მნიშვნელობაზე საუბრობენ. მათი თქმით, არსებობს სიმბოლური საზღვრები, რომლებსაც ავლებს ფეხბურთი თავისი რიტუალური ხასიათიდან გამომდინარე და რაც განაპირობებს ფეხბურთის მნიშვნელოვან როლს მასობრივი აზრის ჩამოყალიბებაში (Ismer, Beyer, Solms-Baruth, von Scheve, 2015, გვ. 5; Baker, 2016, გვ. 857). რასმუს ნისენის თქმით ყველა საფეხბურთო კლუბს საკუთარი იდენტობა აქვს, და თუ არ აქვს, სასიცოცლოდ სჭირდება მისი ფორმირება, რადგან ფეხბურთის განვითარებასთან ერთად სპორტის ამ სახეობაში უფრო და უფრო მეტი მონაწილე ერთვება უმთავრესად

გულშემატკივრის სახით, და გუნდები საკუთარი იდენტობის ფორმირების გზით იწყებენ მათ გარშემო შემოკრებილი საზოგადოებების, ე.წ. სტეიკჰოლდერების იდენტობის ფორმირებაში მონაწილეობის მიღებას (Nissen, 2015, გვ. 1). სინქრონიზებული მოძრაობები, სიმღერები, შეძახილები, საერთო ყურადღების ფოკუსი - ყველაფერი ეს ხდება კონკრეტული ერთობის სიმბოლო და წარმოადგენს ამ ჯგუფის საერთო ღირებულებათა ნაკრებს. ქცევათა სიმბოლურობა მასების ემოციური გარდაქმნებისთვის ძლიერი ფაქტორია. ემოციური კავშირები გულშემატკივრობის ობიექტ საფეხბურთო გუნდთან და ერთმანეთთან საკმაოდ ძლიერი საფუძველი ხდება ერთობების თვითაღქმის პროცესში. ამ ემოციური კავშირების დახარისხებას ფეხბურთი თავისთავად ახდენს, რადგან თამაშის ბუნება - ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სხვადასხვა ჯგუფები - წარმოშობს ერთგვარ გამყოფ ხაზებს და, შესაბამისად, ამ ჯგუფების ინდივიდუალურ იდენტობას (Ismer, Beyer, Solms-Baruth, von Scheve, 2015, გვ. 2).

ფეხბურთისა და იდენტობის ფორმირების ეს ურთიერთკავშირი განაპირობებს ეროვნული გუნდების მნიშვნელობას ნაციონალისტური შეხედულებების რეპროდუქციაში: ეროვნული თვითგააზრების პროცესის შედეგად იქმნება ნაციონალისტური განწყობები.

3.2. ფეხბურთი და გულშემატკივარი საბჭოთა საქართველოში 1960-იან-1980-იან წლებში

საბჭოთა საქართველოში ფეხბურთი ქართული საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მაკონსოლიდირებელი ფაქტორი იყო. თბილისის „დინამო“ იყო გუნდი, რომელსაც საბჭოთა საქართველოში საზოგადოება ერთსულოვნად გულშემატკივრობდა. თბილისის „დინამოს“ თამაშის ხარისხი და სილამაზე განაპირობებდა იმას, რომ ქართველი მოსახლეობა მასობრივად დადიოდა სტადიონზე საყვარელი გუნდის საქომაგოდ განურჩევლად მატჩების მნიშვნელობისა თუ სხვა ხელისშემშლელი ფაქტორებისა. როგორც სპორტული ჟურნალისტი თენგიზ გაჩეჩილაზე იხსენებს, „[მისი] თაობისთვის ერთადერთი

უსაყვარლესი გუნდი იყო „დინამო“, იმიტომ რომ ეს იყო გუნდი, რომლის ირგვლივ ვტრიალებდით ყველა და ჩვენი ემოციები გადართული იყო თბილისის „დინამოზე“, იმიტომ რომ თბილისის „დინამო“ იყო იყო არა მხოლოდ საფეხბურთო გუნდი, არამედ ეს იყო ეროვნული გამოხატულებაც. იქ ნაციონალური სულისკვეთებაც იყო, ეროვნული ტრადიციებიც იდო, ჩვენი ხალხის ხასიათიც იდო, ყველაფერს განასახიერებდა ეს გუნდი და ამას ხალხი კარგად გრძნობდა.“ [თ. გაჩეჩილაძე, პირადი კომუნიკაცია, 2017 წლის 14 ივნისი]. სწორედ ამ დატვირთვის გამო, რაც ქართულმა საზოგადოებამ თბილისის „დინამოს“ მიანიჭა, კლუბს ზოგჯერ საქართველოს ნაკრებადაც მოიხსენიებდნენ. სიმბოლურობა ამ მეტსახელს ნამდვილად არ აკლდა: 1980-იან წლებში აქ თამაშობდნენ რესპუბლიკის საუკეთესო ფეხბურთელები სხვადასხვა რეგიონებიდან: შენგელია და სულაქველიძე ქუთაისიდან, გაბელია ზუგდიდიდან, ხიზანიშვილი ბათუმიდან და ყიფიანი დედაქალაქიდან. უფრო მეტ სიმბოლურობას კი იმ პერიოდის კლუბს ანიჭებდა ის ფაქტი, რომ ისტორიაში უდიდეს გამარჯვებას „დინამომ“ ვლადიკავკაზელი გუცაევის და ოჩამჩირელი დარასელიას გოლების წყალობით მიაღწია.

თამაშის მაღალი ხარისხი და „დინამოს“ მიერ მიღწეული წარმატებები ქართველებისთვის ეროვნული სიამაყე გახდა, შედეგად საბჭოთა საქართველოში ის რესპუბლიკის არაოფიციალურ ნაკრებად აღიქმებოდა. როგორც ვეტერანი ფეხბურთელი მურთაზ ხურცილავა ამბობს, *„საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იყო მთელს მსოფლიოში... და თბილისის „დინამო“ იყო საქართველოს ნაკრები ხო?“* (Film Archieve of Georgia, 2014) აქედან გამომდინარე, გუნდის თითოეული თამაში, მარცხი თუ გამარჯვება ქართველი ხალხისთვის ეროვნული მოვლენა იყო. აღნიშნულს ადასტურებს კვლევის შედეგად გაანალიზებული მასალა - დოკუმენტური და მხატვრული ფილმები, გაზეთები, ასევე, კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფები და ინდივიდუალური ინტერვიუები გულშემატკივრებთან, ფეხბურთელებთან და სპორტულ ჟურნალისტებთან.

ფეხბურთის მასობრიობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო დამადასტურებელი ფაქტია ქართველი გულშემატკივრის საფეხბურთო თამაშებზე დასწრების მაჩვენებელი.

დინამოს სტადიონი[2] 1932 წელს აშენდა და მას შემდეგ რამდენჯერმე განიცადა რეკონსტრუქცია. 1976 წელს ნაგებობა დაანგრიეს და მის ნაცვლად უფრო დიდი - 78 000 ტევადობის ახალი სტადიონი ააშენეს, რა დროსაც ის სიდიდით მესამე იყო მთელს საბჭოთა კავშირში. მიუხედავად სტადიონის ამგვარი მასშტაბურობისა, თბილისის „დინამოს“ თამაშებზე ის მუდმივად სავსე იყო. 1960-1980-იანი წლების ქართველ გულშემატკივრებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების ფორმატის დისკუსიების ფარგლებში ყველა რესპონდენტი ერთხმად აღიარებს, რომ მათთვის თამაშების ბილეთების შოვნა ყოველთვის პრობლემური იყო და ხშირად არალეგალური ან ექსტრემალური გზების მოძებნაც კი უხდებოდათ მატჩებზე დასასწრებად. *„რა დამავიწყებს, ჩემ თვალწინ მოხდა, ერთხელ ჩემმა მეგობარმა თავის ვოლგას მოხსნა „პაკრიშკები“ და გაყიდა იმისთვის, რომ „დინამოს“ ბილეთები ეყიდა. მაშინ ოთხი „პაკრიშკა“ ხუმრობა საქმე არ იყო“* - იხსენებს ფოკუს-ჯგუფის ფორმატის დისკუსიის ერთ-ერთი მონაწილე.

გულშემატკივრებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ ქართველი გულშემატკივარი თბილისის „დინამოს“ დუბლების მიერ ჩატარებულ მატჩებზეც კი აქტიურად დადიოდა. ისტორიკოსი ზურაბ ბრაგვაძე იხსენებს: „თბილისის „დინამო“ თამაშობდა ცხადია აქ, ეროვნულ სტადიონზე... [3] და დუბლები თამაშობდნენ ვაკეში, ლოკომოტივზე, ახლანდელ მიხეილ მესხზე. ლოკომოტივი მაშინ იტევდა 25 000 – 30 000 კაცს. და იძულებული გახდა მერე „დინამოს“ ხელმძღვანელობა, რომ დუბლების თამაშები აქ ჩაეტარებინათ. არ ეტეოდა იქ ხალხი, იმდენი ხალხი დადიოდა დუბლების თამაშებზე. იმიტომ რომ ეს იმედი იყო იმის, რომ ახალი თაობა მოდიოდა და ყველას გვაინტერესებდა ქართული ფეხბურთის ხვალინდელი დღე“ [ზ. ბრაგვაძე, პირადი კომუნიკაცია, 2017 წლის 21 მაისი].

---

[2] ამჟამად: ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენა, თბილისის „დინამოს“ საშინაო მოედანი. პირველი ნაგებობა აიგო 1932-1935 წლებში, განიცადა რეკონსტრუქცია 1955-1956 წლებში, ხოლო დაანგრიეს და თავიდან ააგეს 1976 წელს. საბჭოთა კავშირის პერიოდში სხვადასხვა დროს ატარებდა ლავრენტი ბერიას და ვლადიმერ ლენინის სახელს.

[3] ინტერვიუ ჩაწერილია მუშტაიდის ბაღში.

ქართული საზოგადოების ამ ინტენსივობით აქტიურობა საფეხბურთო თამაშებთან დაკავშირებით განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო ისეთი მნიშვნელობის მატჩებზე, როგორიცაა 1964 წლის 18 ნოემბერს ტაშკენტში გამართული საკავშირო ჩემპიონატის ფინალი მოსკოვის „ტორპედოს“ წინააღმდეგ. აღნიშნული თამაშისთვის ტაშკენტში ჩასაფრენად თბილისიდან დანიშნულ ფრენებს რეისები დაამატეს. დემიკო ლოლაძის თქმით, *„ყოველ ნახევარ საათში თვითმფრინავები მოფრინავდა სავსე... მთელი თბილისი და საქართველო დაიძრა ტაშკენტისკენ. ბილეთები თბილისში ვერ ვიშოვნეთ, ძალიან ძნელი იყო.“* (Film Archieve of Georgia, 2014). სპორტული ჟურნალისტი ოთარ გაგუა დოკუმენტურ ფილმში „ოქროს ბიჭები“ იგონებს: *„მთელი თვითმფრინავი სავსე იყო ამ გულშემატკივრებით, სხვა მგზავრი არ ყოფილა, მხოლოდ გულშემატკივრები იყვნენ და რამდენიმე რეისით იყვნენ ჩამოსულები“* (Film Archieve of Georgia, 2014). ტაშკენტში გასაფრენი და თამაშზე დასასწრები ბილეთების შოვნა ყველა ქართველს უნდოდა, თუმცა ყველა ამას ვერ ახერხებდა, რაც გულშემატკივართა ნაწილს ექსტრემალური საქციელის ჩადენისკენ უბიძგებდა. აი რას იხსენებს დემიკო ლოლაძე: *„რო ვერ იშოვეს ბილეთები, გამწარებული ერთი ჩემი უნივერსიტეტელი მეგობარი [...] 18-ში დილით თვითმფრინავის საბარგულში შეიპარა. ეს წარმოუდგენელი ამბავია. და აქ[4] რო ჩამოფრინდა ის თვითმფრინავი, ე.ი. სამი საათი, წარმოიდგინეთ, რამდენია მინუსი - 60? 80? გადმოიტანეს. სიკვდილს ეთამაშებოდა, რო რას ლაპარაკობო, ბილეთი ვერ ვიშოვეო, მე ფეხბურთი არ მენახა, რად მინდოდა სიცოცხლეო“* (Film Archieve of Georgia, 2014). ამ ფინალურ თამაშზე თბილისის „დინამომ“ გაიმარჯვა და თავისი არსებობის ისტორიაში პირველად საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა. ამ მოვლენას გოგი ცაბაძემ სიმღერაც კი მიუძღვნა სათაურად „არის, აღსრულდა ოცნება!“[5]

საბჭოთა სპორტი იყო მექანიზმი საზოგადოებაში კოლექტივის კულტის ჩამოყალიბებისთვის და, ამავე დროს, ერის პოლიტიკური ამბიციების დაბალანსებისთვის.

[4] ინტერვიუ ჩაწერილია ტაშკენტში
[5] სრული ტექსტისთვის იხ. დანართი N2

ფეხბურთის ამგვარი როლი საბჭოთა საქართველოში სხვა დეტალებთან ერთად აისახა კინოხელოვნებაშიც. ნაშრომის ფარგლებში შერჩეულ საკვლევ პერიოდში სამი მხატვრული ფილმის გადაღება მოხდა ფეხბურთის თემატიკაზე.

მათგან პირველი, გუგული მგელაძის მიერ 1961 წელს გადაღებული ფილმი „ბურთი და მოედანი“, ასახავს საბჭოთა საზოგადოების ყოველდღიური ყოფის ფონზე ფეხბურთის მნიშვნელობას. ფეხბურთზე უსაზღვროდ შეყვარებული ბუღალტერი სამსახურიდან თავის დასაღწევად ათას ეშმაკობას იგონებს, რომ თბილისის „დინამოს“ თამაში არ გამოტოვოს. ყველაფერი იწყება ემოციური შეძახილით: „ხვალ ფეხბურთია, ფეხბურთი!“ (მგელაძე, 1961). ბოლოს, „დანაშაულში“ მხილებულს იმით სჯიან, რომ საყვარელი გუნდის მორიგი თამაშის ყურებას უკრძალავენ. ჩვეულებრივი საბჭოთა მოქალაქისთვის ამგვარი „სასჯელის“ დაკისრებამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ მანამ, სანამ თბილისური კლუბი მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევდეს საკავშირო და საერთაშორისო ჩემპიონატებზე, სხვადასხვა მექანიზმებით საბჭოთა პროპაგანდა ცდილობდა ხალხთა ეროვნული სიამაყე შედარებით უწყინარი დარგებისკენ მიემართა.

1970 წელს ბაადურ წულაძის მიერ გადაღებული ფილმი „ფეოლა“ მოგვითხრობს ჩვეულებრივი სახლმმართველის ისტორიას, რომელსაც ბავშვთა გუნდს ჩააბარებენ გასაწვრთნელად. ფილმის გმირი თავდაპირველად საქმეს უგულოდ ეკიდება, ცდილობს, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ გუნდმა წააგოს და მანაც ეს უსიამოვნო ვალდებულება თავიდან მოიცილოს. თუმცა გუნდი წარმატებებს აღწევს, ხოლო ფილმის პერსონაჟიც უფრო და უფრო მოტივირებულად ერთვება საქმეში. თუმცა ოქროს მედლების მოპოვების შემდეგ ბავშვთა გუნდს სათავეში პროფესიონალ მწვრთნელს ჩაუყენებენ (წულაძე, 1970). აღნიშნული ფილმი საგულისხმოა იმ თვალსაზრისით, რომ ფეხბურთს ამ პერიოდში საზოგადოების ყველაზე გულგრილი წევრების ყოველდღიურ ცხოვრებაშიც კი შეეძლო შეეღწია. შესაბამისად, სპორტის ეს სახეობა საკმაოდ ძლიერ ფაქტორს წარმოადგენდა საბჭოთა საზოგადოების ერთ იდეოლოგიურ კოლექტიურ სივრცეში მოთავსებისთვის.

მესამე მხატვრული ფილმი ფეხბურთის თემატიკაზე არის 1975 წელს რეჟისორ ნანა მჭედლიძის ნამუშევარი „პირველი მერცხალი“, რომელიც ქართული ფეხბურთის და

პირველი ქართული საფეხბურთო კლუბის ისტორიას მოგვითხრობს. ზღვისპირეთში ახლადგავრცელებული ბურთაობა ხშირად თანამოქალაქეების დასაცინი ხდება, ფეხბურთელები ფინანსური სახსრების გარეშე ენთუზიაზმით თამაშობენ და ებმებიან სხვადასხვა შეჯიბრებებში, ვითარდებიან და ყალიბდებიან ნამდვილ ფეხბურთელებად, რომლებსაც აქვთ თავისი მაისური და სახელი - „პირველი მერცხალი“, მის შესახებ წერენ ქართულ პრესაში, დროთა განმავლობაში კი საერთაშორისო შეხვედრებიც კი იმართება მათ წინააღმდეგ (მჭედლიძე, 1975).

გარდა აღნიშნული სამი მხატვრული ფილმისა მნიშვნელოვანია მოვიხსენიოთ გელა კანდელაკის მიერ 1969 წელს გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ფეხბურთი უბურთოდ“. ნამუშევარი წარმოადგენს ქართული საბჭოთა კლუბების სათამაშო ეპიზოდების ნაკრებს, სადაც ასახულია ფეხბურთელების ემოციები, როდესაც ისინი უშუალოდ არ არიან ბურთის გათამაშების პროცესში ჩართული. აქ კარგად შეიძლება დავინახოთ ისეთი მომენტები, რომლებსაც ერთი შეხედვით თამაშის ყურებაში ემოციურად ჩართული გულშემატკივარი შეიძლება ვერც კი ამჩნევდეს - გადაძახილი, სხვადასხვა რეაქციები, კმაყოფილება, კამათი, შეჯიბრებითობის ჟინი, ტკივილი, სპონტანური ანალიზი, ისტერიკაც კი. ამ, ასე ვთქვათ, არასაფეხბურთო კადრების მეშვეობით გელა კანდელაკს ცხადად აქვს წარმოდგენილი საბჭოთა ფეხბურთის ემოციური მხარე. ფილმი მთავრდება იმ ილეთებით, ბურთი ართმევის, გაგორებისა და გადაცემის შედეგად კარის ბადეში ეხვევა და ეს ფეხბურთელების არნახულ სიხარულს იწვევს. კადრებს კი ფონად ადევს მაყურებლის შეძახილი, რომელიც ერთულოვანი და გამაყრუებელია (კანდელაკი, 1969).

ზემოთ ხსენებული ფილმებიდან ყველა მათგანი არ ასახავს უშუალოდ საკვლევ პერიოდში განვითარებულ მოვლენებსა და საზოგადოების დამოკიდებულებებს. მიუხედავად ამისა, თავად ფაქტი, რომ 1960-1980-იან წლებში ფეხბურთის თემატიკას სამი კინოგადაღება მიეძღვნა, ცხადყოფს, თუ რამხელა იყო საზოგადოების ინტერესი და მოთხოვნა სპორტის ამ სახეობისადმი.

კიდევ ერთი ილუსტრაცია, რომელიც ცხადყოფს ფეხბურთის მნიშვნელობას მასებისთვის საბჭოთა საქართველოში, არის დამოკიდებულება ქართველი ფეხბურთელებისადმი და, განსაკუთრებით, თბილისის „დინამოელებისადმი“. ფეხბურთელი გიორგი სიჭინავა იხსენებს: *„წარმოიდგინე, ყველა ჩვენ გვხვდებოდა, საჩუქრებს გვჩუქნიდნენ, აღარც მახსოვს, რას აღარ გვჩუქნიდნენ და რამდენს... გორში, ზუგდიდში, ცხაკაიაში (სენაკში), სოხუმში... ამას ემატებოდა ბროლის თასები, ბინები დაგვირიგეს, მანქანები მოგვცეს, ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო და, რაც მთავარია, ქართველი ხალხი ზეიმობდა.“* (Film Archieve of Georgia, 2014). მიუხედავად იმისა, რომ თბილისის „დინამო“ თბილისური გუნდი იყო, კლუბის მოთამაშეებს საქართველოს ყველა კუთხეში განსაკუთრებული სითბოთი იღებდნენ, ასაჩუქრებდნენ [ი. დათუნაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2017, 6 ივნისი].

ცალკეული ფეხბურთელების სიმბოლური მნიშვნელობის თვალსაზრისით საყურადღებოა დავით ყიფიანის მიერ ვიტალი დარასელიას შესახებ ჩაწერილი ინტერვიუ, რომელშიც ის ამბობს: *„დარასელია არის პიროვნება, რომელმაც გაიტანა ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი საქართველოს ისტორიაში, რადგან ლამაზ გოლებს იტანდნენ ქართველები, მაგრამ ასეთი საჭირო გოლი ჯერ არავის გაუტანია.“* (ხარაბაძე, 2014). სიმბოლურობა დარასელიასთან მიმართებით რამდენიმე დეტალში გამოიხატა. ვიტალი დარასელია ოჩამჩირედან იყო. ოჩამჩირეში ადგილობრივ საფეხბურთო კლუბს „ამირანი“ ერქვა. ერთ-ერთ დოკუმენტურ მასალაში საუბარია რა ამირანსა და დარასელიას შორის ასოციაციაზე, ვისმენთ: „ამირანი ეს არის პრომეთეს პროტოტიპი ქართულ მითოლოგიაში. პრომეთემ მოუტანა თავის ხალხს ცეცხლი და თავისუფლების შეგრძნება. ვიტალი დარასელიამაც მოუტანა თავისუფლების შეგრძნება თავის ხალხს. ასეთი სიხარულის დღე ქართველებს დიდი ხანია, არ ჰქონიათ - ამბობდა კოტე მახარაძე. ასევე მან თქვა, რომ „ჩვენ ვიგრძენით, რომ ნამდვილად თავისუფლები ვიყავით“. ფეხბურთში გამოხატული თავისუფლება ხანდახან მეტაფიზიკური თავისუფლება ხდება“ (ხარაბაძე, 2014).

საბჭოთა პერიოდის ფეხბურთის გულშემატკივრები იგონებენ, რომ ეროვნული სიამაყის დაკმაყოფილების თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრები მათთვის ერევნის „არარატთან“ დაპირისპირება იყო, განურჩევლად იმისა, თუ სად ტარდებოდა თამაში და რა პოზიციაზე იყვნენ გუნდები ჩემპიონატის გათამაშებაში. არ ყოფილა ამ ორი გუნდის საკავშირო ჩემპიონატის მატჩი, რომ აკლდეს ემოციურობა ან უკიდურესი დაძაბულობა და, თუმცა, ძველ მეტოქეთა ხშირად ისეთი, ერთი შეხედვით აბსურდული, „გაუგებარი“ ანგარიშები, როგორიცაა 5:0 და 0:4, 7:4 და 1:5, მაგრამ ეს შეუსაბამოებანი მთავარ არსს არ ცვლის: თბილისელები ღებულობენ თავიანთ მინდორზე ერევნელებს, თუ „არარატია“ მასპინძელი, სულ ერთია, ბრძოლა უშეღავათოდ, მწვავედ და მძაფრად მიმდინარეობს (“დინამო“ (თბილისი) – „არარატი“, 1998). მართლაც, სომხურ გუნდთან დაპირისპირება არ ჰგავდა მატჩებს „ტორპედოსთან“ ანდაც „სპარტაკთან“. „არარატთან“ მოგება ქართველ გულშემატკივარს ყველაფერს ერჩივნა, წაგება კი ტრაგედიის ტოლფასი იყო. ფეხბურთელებსაც და ქომაგსაც ერთიდა იგივე ემოცია ჰქონდა: თბილისში "არარატთან" ვერმოგებას ყოველთვის უდიდესი იმედგაცრუება მოჰყვებოდა ხოლმე, ერევანში კი არც ერთ სხვა გუნდთან წაგებით არ ღიზიანდებოდნენ, როგორც თბილისის "დინამოსთან" დამარცხებით.

ერთ-ერთ ინტერვიუში თბილისის „დინამოს“ ყოფილ ფეხბურთელს რევაზ ჩელებაძეს ჰკითხეს, რომელი გაცუდებული მომენტი უდგას თვალწინ დღემდე, მან კი უპასუხა: *„არა მარტო მე, არამედ - მთელ საქართველოს. 1976 წელს ერევანში 0:1 ვაგებდით და მეორე ტაიმის ბოლოს ანგარიში გავათანაბრე. ბოლო წამებზე "არარატი" გვიტევდა და აბრამიანი მოედნის ცენტრამდე მოვიდა. ჩვენმა მცველმა ბურთი შორს მოიგერია; აბრამიანს ბურთი მოეჭრა, ის მე დამრჩა და ცარიელი კარისკენ გავიქეცი, მაგრამ მახვილი კუთხე იყო... გავრბოდი და ვფიქრობდი, - ახლა მეორე გოლს გავიტან, თბილისში ჩავალ, შემხვდებიან, ჩამეხუტებიან, სუფრას გამიშლიან... კარამდე 6 მეტრი იყო დარჩენილი და ბურთი ავაცილე. ამის შემდეგ, საქართველოში არავის გახსენებია, რომ "დინამო" წაგებას გადავარჩინე - ყველა "გაფუჭებულ" გოლს იხსენებდა...“* (თაბაგარი, 2011). მოგვიანებით სწორედ ამ მომენტზე იქმნებოდა ათასგვარი გამკენწლავი ანეკდოტი და ხუმრობა, მათ შორის რამდენიმე თავად

ფეხბურთელის რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებზე აგებულიც: ზემოთ ხსენებული თამაშიდან რამდენიმე დღის შემდეგ ქუთაისში „ჩელე“ ორმოში ჩავარდა თავისი მანქანით. გადმოვიდა მანქანიდან იმ იმედით, ქნებ ვინმემ მიცნოსო. ცოტა ხანში გაჩერდა ვიღაც:

- კაცო შენ რეზო არა ხარ ჩელებაძე?

- კი, რეზო ვარ! - გაუხარდა

- რა დაგემართა?

- აი ორმო ვერ დავინახე და..

- ვერ ააცილე ორმოს?

- ვერ ავაცილე - დაიბნა ჩელებაძე

- კაცო, ცხრამეტრიან კარს ორჯერ ააცილე და ამ პატარა ორმოს ვერ ააცილე?

1976 წლის 3 სექტემბერს გაიმართა სსრკ-ს თასის ფინალური მატჩი. შეხვედრა განსაკუთრებით პრინციპული იყო: თბილისელები ამ პრიზისათვის მეექვსეჯერ იბრძოდნენ. „არარატი“ 1975 წლის თასის მფლობელი გახლდათ და ამ საპატიო ჯილდოს ერევანში კიდევ ერთხელ ჩატანა სურდათ. მატჩი მოსკოვში თბილისის „დინამოს“ სასარგებლოდ 3:0 დასრულდა, და თბილისელებმა საბჭოთა კავშირის თასიც პირველად მოიპოვეს. ფეხბურთელი ფირუზ კანთელაძე იხსენებს: “ერევნელები არც კი მალავდნენ, რომ ზედიზედ მეორედ აპირებდნენ ამ საპატიო პრიზის აღებას. ეგ კი არადა, გამარჯვებაში იმდენად დარწმუნებულები იყვნენ, შეურაცხმყოფელ განცხადებებსაც არ ერიდებოდნენ. არ გაღიზიანდები კაცი, როცა გაიგებ, რომ თურმე, თასის აღების შემდეგ მეტოქე გუნდი ადლერში აპირებს ჩაფრენას და იქიდან უკვე ავტობუსით გამგზავრებას ერევანში? ანუ, საქართველოს მთელი ტერიტორია უნდა გამოევლოთ საბჭოთა კავშირის თასით ხელში... პენალტი რომ დაინიშნა, ცენტრის ხაზთან ვიყავი. რატომღაც ბურთიც იქ მოგორდა. ამ დროს ვხედავ, რომ ვინც პენალტი უნდა დაარტყას, ის არ აქტიურობს. ინსტიქტურად ავიღე ბურთი და პენალტის ნიშნულისაკენ გავეშურე. დათო ყიფიანმა მომაძახა, მიდი, ფირუზ, ნუ გეშინიაო. ის თერთმეტმეტრიანი რომ ვერ გამეტანა, ალბათ, საქართველოდან შორს გადავიხვეწებოდი. როგორია, თასის ფინალში პენალტს რომ გააცუდებ, თან, ვისთან - „არარატთან“! „არარატის“ მეკარე ოვსეპიანმა დარტყმის მიმართულება კი გამოიცნო, მაგრამ

ძალიან შორეულ კუთხეში დავარტყი და ვერ მიწვდა. მოკლედ, საქართველოდან გახიზვნასაც „გადავურჩი“ და სანუკვარი ჯილდოც დავისაკუთრეთ“. (გახსოვთ 1976 წლის 3 სექტემბერი? 2011).

ფეხბურთს ქართული საზოგადოებისთვის ძლიერი მაკონსოლიდირებელი ძალა ჰქონდა, რაც გამოიხატება 1981 წლის 14 მაისის დემონსტრაციაში. 13 მაისი ერთ-ერთია იმ იშვიათ მოვლენებს შორის საქართველოს ისტორიაში, როდესაც ეროვნული სოლიდარობის გრძნობა ზენიტს აღწევს. გრანდიოზული დახვედრა აეროპორტში, თბილისის ქუჩებში აგორებული სადღესასწაულო დემონსტრაციები, კლუბის და ქვეყნის სადიდებელი შეძახილები - ამ ვნებათაღელვის გამომხატველ სიმბოლოდ ითვლება ლეგენდარული კომენტატორის, კოტე მახარაძის ცნობილი სიტყვები: *„Динамовцы Тбилиси победили на радость болельщикам Советского Союза, и, естественно, в первую очередь Грузии, Тбилиси. Представляю, что сейчас творится в Тбилиси! Ликует столица Грузии, ликует вся наша страна! Тбилисцы овладели этим Кубком!“* თუკი თბილისელი ფეხბურთელების სამშობლოში დაბრუნების კადრებს გავადევნებთ თვალს, აშკარად დავინახავთ, თუ როგორ გააერთიანა ორმა გოლმა ქართული საზოგადოება (High Sport, 2015). ქუჩებს მოედო შეძახილები „დინამო“ და „საქართველო“. მატჩის შემდეგ ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის აღნიშვნის ფორმებმა საბოლოოდ აქცია თბილისის „დინამო“ გამარჯვებისთვის მებრძოლი ქვეყნის სიმბოლოდ: *„თბილისის დინამოელებმა გააკეთეს ის, რაც ხალხს აღარ ჰქონდა წლების მანძილზე... ეს არაფერს არ შეუძლია..“* - ამბობს კახი კავსაძე, როდესაც იხსენებს ამ პერიოდის ქართულ საზოგადოებას (Givifilms Studio Sport, 2013).

მაშინ დაპირისპირება „დინამოსა“ და „კარლ ცეისს“ შორის საქართველოს ისტორიის მორიგ რეპეტიციად აღიქმებოდა. დათო ტურაშვილი იხსენებს თავისი ისტორიის მასწავლებლის ნათქვამს თამაშის დღეს: *„საქართველოს ისტორია არის უთანასწორო ბრძოლების თავგადასავალი და ქართველები ყოველთვის უმცირესობაში იყვნენ და ასე ებრძოდნენ მათზე გაცილებით მრავალრიცხოვან მტრებს და თუ დღეს თერთმეტ ქართველს*

მხოლოდ თერთმეტი გერმანელი დაუპირისპირდება, ჩვენი ფეხბურთელები აუცილებლად მოიგენებო“ (ტურაშვილი, 2011, გვ. 7).

მას შემდეგ, რაც ისტორიაში უდიდესი გამარჯვებით გამოწვეული ვნებათაღელვა თბილისის ქუჩებს მოედო, მანამ სანამ ეროვნულ გმირებად შერაცხულ ფეხბურთელებს აეროპორტში გრანდიოზულ დახვედრას მოუწყობდნენ, გაზეთ „ლელოში“ ხუტა ბერულავას ლექსიც გამოქვეყნდა:

თბილისის დინამოელთა სიმღერა

ალავერდი რევაზ ლაღიძეს

ხელთ გვიპყრია საოცნებო თასთა თასი
აგრე იყოს: ეგ ერთი და სხვა ათასი!
საზეიმოდ შენ მოგართვით ეს ნობათი
საქართველოვ!

ჩენ გვახსოვდა რაც თბილისმა დაგვაბარა,
არ ვყოფილვართ იქაც ბედის ანაბარა -
გვინათებდი ვით იმედის ნათლისსვეტი
საქართველოვ!

დინამოს რომ გუგუნებდნენ აქ ბიჭები
რაინამდეც მოდიოდა მათი ხმები:
გამარჯვება! გამარჯვება! გამარჯვება!
საქართველოვ!

არა კმარა? გაგახაროთ ახალ თასით?

აგრე იყოს: ეგ ერთი და სხვა ათასი,
ჩვენ მზადა ვართ, გავიტანოთ კვლავაც ლელო,
საქართველოვ!

14 მაისი, შუაღამე

ის, ვინც ლექსებს არ უწერდა თბილისის „დინამოს“, უკვე დაწერილს შეავლებდა ხელს:

„შენ თასს იღებდი იმ ღამეს საშა..“

„უახალკაცოდ არ არსებობს არცერთი თასი,
ჩემპიონობაც არ არსებობს უახალკაცოდ“

„წინ ტაქსისტო,
ეგ მანქანა გააქანე, გააქანე!
მსურს, რომ ერთხელ კიდევ ვნახო
სტადიონის ველი მწვანე,
წამიყვანე!“

(ცოტაძე, 1981, გვ. 3).

არანაკლებ გრანდიოზული იყო ფეხბურთელების დაბრუნება თბილისში:

დასრულდა თუ არა მატჩი, მთელი საქართველო ტელეეკრანს მოსწყდა... 14 მაისის ღამეს დატრიალებულმა სიხარულის ქარიშხალმა საქართველოს შემოუქროლა და 16 მაისს თბილისის აეროპორტს ეწვია.. (ჭეიშვილი, 1981, გვ. 1). დღემდეა შემორჩენილი ფოტო,

რომელზეც ასახულია, როგორ კოცნის გულშემატკივართა ტალღის მიერ ჰაერში ატაცებულ ვიტალი დარასელიას ერთ-ერთი გულშემატკივარი ფეხზე.

ფეხბურთელების წარმატებით გამოწვეული ეროვნული ვნებათაღელვა ურთიერთშექცევადი იყო, რაც კარგად ჩანს თბილისის „დინამოს“ ექიმის, ზაქრო თელიას ჩანაწერებიდან, სადაც ის იხსენებს დიუსელდორფში გატარებულ დღეებს მატჩამდე და მატჩის შემდგომ. თელია წერს: „[გზად ცენტრალური სტადიონისკენ] *დელეგაციის ხელმძღვანელმა შ. გორგოძემ სურპრიზი გაუკეთა ბიჭებს: მაგნიტოფონში ჩართო თან წამოღებული ქართული სმიღერების ფირი, რომელიც დაიწყო „დინამოს“ ფეხბურთელთა ჰიმნით. ქართულმა სიმღერებმა ძალა შემატა ბიჭებს“* (თელია, 1981, გვ. 3). ამავე სტატიაში წერს გუნდის ექიმი, როგორ იმღერეს თამაშზე გასვლის წინ ფეხბურთელებმა „ქართველო ხელი ხმალს იკარ“ და გავიდნენ მოედანზე. როგორც ბატონი ზაქრო იხსენებს, ადგილობრივი ტელევიზიის მიერ ქართველი მცირერიცხოვანი გულშემატკივრის ქომაგობის გაშუქებას საკმაოდ დიდი ყურადღება დაეთმო: *„აჩვენეს გერმანელთა ვეებერთელა ჯგუფი, მათი სიმღერები, შეძახილები და მათს გვერდით შედარებისთვის აჩვენეს სექტორს გამოშვებით მსხდომი ქართველები, მათი ხმამაღალი სიმღერა, ქართული დოლის ცეცხლოვან ხმაზე გამართული ცეკვები და ამ ჰანგებზე აყოლილი დიუსელდორფელი მაყურებლები.“* (თელია, 1981, გვ. 3).

წარმატებული თამაშები და მსოფლიოს საუკეთესო გრანდების წინააღმდეგ მოგებული მატჩები თბილისის „დინამოს“ ბევრი ახსოვს, თუმცა არ არსებობს მეორე თარიღი ასე მნიშვნელოვანი ქართული საზოგადოებისთვის, როცა 11 ქართველის გამარჯვებამ ქართველ ხალხს მოუტანა გამარჯვების შეგრძნება. თითოეული შეძახილი 13 მაისის ღამეს ეროვნული სენტიმენტების გამოხატვა იყო და ასეა დღემდე.

ფეხბურთის როლის მიმოხილვისას კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში აუცილებლად უნდა აღინიშნოს სათამაშო სტილი და მისი აღქმა ამა თუ იმ საზოგადოებებისთვის. ორნულფ შიპელი მჭიდროდ უკავშირებს ისლანდიურ „კოლექტივს“, ბრაზილიურ „სამბას“, ესპანურ „ტიკი-ტაკას“, ჰოლანდიურ „ტოტალურ ფეხბურთს“, გერმანულ „მანქანას“ თუ იტალიურ „კატენაჩოს“ ერების ხასიათის

თავისებურებებს და თვითაღქმას (Seippel, 2017, გვ. 43). საგულისხმოა, რომ ქართველ გულშემატკივართან გამართული ფოკუს-ჯგუფის ფორმატის დისკუსიებიდან და ინდივიდუალური სიღრმისეული ინტერვიუებიდან აღნიშნული მოსაზრება ნაწილობრივ დასტურდება: „დინამოელთა“ სათამაშო სტილი ქართველებისთვის იდენტობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ფაქტორად აღიქმებოდა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფეხბურთისა და მასების მობილიზაციის ურთიერთკავშირთან დაკავშირებულ ამ ფაქტორს რესპონდენტები ერთხმად არ უსვამდნენ ხაზს. იყვნენ ისეთი გულშემატკივრებიც, რომლებიც აღნიშნულ კავშირს ნაკლებად ხედავდნენ.

4. საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა და ქართული ფეხბურთი

საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა დაფუძნებული იყო იდეაზე, რომლის მიხედვით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ თითოეულ ხალხს უნდა ჰქონოდა საკუთარი დიდი წარსული, ტრადიციები და კულტურა. ამისთვის პარტია მუდმივად ზრუნავდა ადგილობრივი კულტურების წინ წამოწევაზე, შესაბამისი საგანმანათლებლო, სამეცნიერო თუ სოციალური პოლიტიკის გატარებაზე. საბჭოთა მიდგომის მიხედვით სხვადასხვა ხალხების „დიდი ტრადიციები" მუდმივად უნდა ყოფილიყო წახალისებული, ვინაიდან ისინი მუდმივად საჭიროებდნენ დაცვას, გაუმჯობესებას და, საჭიროების შემთხვევაში, გამოგონებას (Slezkine, 1994, გვ. 450).

ერიკ ჰობსბაუმის თქმით, ერს საკუთარი თავის ლეგიტიმაციისთვის სჭირდება უწყვეტი კავშირი აწმყოსა და წარსულს შორის, რისთვისაც ის იგონებს ტრადიციებს სხვადასხვა ფორმით (დავითაშვილი, 2003, გვ. 113). ჰობსბაუმი ტრადიციათა უმრავლესობას განმარტავს როგორც სხვადასხვა გამოცდილებათა ნაკრებს, რომლებიც შეთანხმებული წესების მიხედვით ხორციელდება და აქვთ რიტუალური ან სიმბოლური ფორმა და რომლებიც ნერგავენ გარკვეულ ღირებულებებს მათი პერიოდულად გამეორების გზით (Hobsbawm, 1983, გვ. 1). ამგვარი ტრადიციების გამოგონების უმთავრესი მიზანი არის მასების იდეოლოგიური მობილიზება და კონტროლი. პოლიტიკური ელიტების მიერ საზოგადოებისთვის იდეოლოგიური მიმართულების მიცემა სწორედ სიმბოლური ნორმების და რიტუალების მეშვეობით ხორციელდება (Hobsbawm, 1983, გვ. 3-4). ამ საერთო სიმბოლოების მეშვეობით ერთიანდება ხალხი, რომლებსაც ერთმანეთთან უშუალო კონტაქტი არ აქვს. სწორედ მსგავს პროცესებში ხდება ისეთი მექანიზმების ჩართვა საქმეში, როგორიცაა ფეხბურთი თავისი პრიმორდიალური სიმბოლური ელემენტებით (Rojo – Labaien, 2014, გვ. 4).

აღნიშნული პოლიტიკის შედეგად, ყველა მოკავშირე რესპუბლიკას ჰქონდა საკუთარი მწერალთა კავშირი, თეატრები, ოპერა, ნაციონალური აკადემიები სპეციალიზებული ისტორიაზე, ლიტერატურასა და ენაზე (Slezkine, 1994, გვ. 450 – 451).

4.1. კულტურული ნაციონალიზმი, როგორც საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის ქვაკუთხედი

საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენდა ვლადიმერ ლენინის მოსაზრება ეთნიკური გამორჩეულობის წახალისების შესახებ. ადგილობრივი ეთნოსების კულტურის მიმართ შემწყნარებლურ და ლოიალურ მიმართულებას სხვადასხვა ფორმითა და ვარიაციებით ერთგულად მიჰყვებოდნენ გვიანდელი საბჭოთა მმართველებიც. ლენინის იდეა მარქსიზმისა და ნაციონალიზმის თანაარსებობის შესახებ მდგომარეობდა იმაში, რომ სახელმწიფოს მხრიდან უნდა წარმართულიყო ერთგვარი „კომპენსატორული“ ნაციის მშენებლობა „დაჩაგრული ნაციების“ მიმართ, რასაც შედეგად მოჰყვა საბჭოთა კავშირის პოლიტიკა ენის, ადგილობრივი კულტურების, ტერიტორიისა და კვოტების პრინციპის მხარდაჭერის თვალსაზრისით (Slezkine, 1994, გვ. 414). შესაბამისად, ფორმალურად უზრუნველყოფილი იყო სხვადასხვა ეთნიკური ნიშნით განსხვავებული ხალხების პრივილეგირებული მდგომარეობა. საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის ამ ფორმის დასახასიათებლად იური სლეზკინი იყენებს იოსებ ვარეიკისის შემდეგ ფორმულირებას: „საბჭოთა კავშირი იყო დიდი საერთო საცხოვრებელი, სადაც „ნაციონალური სახელმწიფო ერთეულები, სხვადასხვა რესპუბლიკები და ავტონომიური პროვინციები „ცალკე ოთახებს“ წარმოადგენდნენ“ (Slezkine, 1994, გვ. 415). ამგვარად, ბოლშევიკური რევოლუციისთვის ეროვნულობის საკითხი იძენდა თავის მნიშვნელობას იმდენად, რამდენადაც საჭირო იყო სხვადასხვა ეთნოსების გარდაქმნა ერთ პოლიტიკურ ორგანიზმად (Hula, 1944, გვ. 169) და ერთგვარ “კომუნალურ ბინად“.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი ხალხების ეთნიკური განსაკუთრებულობის წარმოსაჩენად საბჭოთა მმართველი წრეებისთვის მნიშვნელოვანი საყრდენი იყო კულტურული ნაციონალიზმი. სწორედ ამ მიმართულებით

განხორციელებულ პოლიტიკას უნდა შეენარჩუნებინა ინტერეთნიკური სოლიდარობა და ლოიალობა ცენტრალური ხელისუფლების მიმართ (Shcherbak, 2013, გვ. 8). ადგილობრივი კულტურის მნიშვნელობის ხაზგასმა, ერთი მხრივ, იყო ერთგვარი პრევენცია საბჭოთა კავშირის შემადგენელი ერთეულებისთვის პოლიტიკური ამბიციების ჩასახშობად, ხოლო მეორე მხრივ, საჭირო სტრატეგია სხვადასხვა ხალხებს შორის სოციალისტური იდეების გასავრცელებლად და, შესაბამისად, ერთიანი სოლიდარობის განცდის ფორმირება. იური სლეზკინის თქმით, ლენინის სოციალიზმს სჭირდებოდა ერთგვარი „ქადაგება“ ყველა ენაზე, რათა მომხდარიყო დიადი სოციალისტური იდეების ადაპტირება ყველა ერთობაში ლოკალურ დონეზე. საჭირო იყო იდეების გავრცელება მშობლიურ ენაზე „თვით თითოეული ქართველი ბავშვისთვის“ ეთნიკური თანამოძმე მასწავლებლების მიერ (Slezkine, 1994, გვ. 418) სხვადასხვა ხალხების ნდობის მოპოვება იმ ნომენკლატურისთვის, რომელიც პოლიტიკურად მართავდა ეთნიკური, რელიგიური, კულტურული, ისტორიული განვითარებით განსხვავებულ ერთობებს სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენდა. კულტურული ნაციონალიზმი უნდა გამხდარიყო ერთგვარი წყარო საბჭოთა ხელისუფლების ლეგიტიმაციისთვის (Shcherbak, 2013, გვ. 17). ამგვარად, როგორც ერიკ ჰულა წერს, ბოლშევიკებისთვის არავითარი რომანტიული დატვირთვა ამგვარ პოლიტიკას არ ჰქონია, მათთვის მთავარი იმედისმომცემი ასეთი პოლიტიკის გატარებისას იყო ის, რომ ლიბერალური კულტურული პოლიტიკა ნაციონალიზმებს დაცლიდა თავისი ფსიქოლოგიური დატვირთვისგან (Hula, 1944, გვ. 190-191).

საბჭოთა მმართველები საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის ფარგლებში კულტურული ნაციონალიზმის გამოყენებას სხვადასხვა ფორმითა და მასშტაბებით მიმართავდნენ. ანდრეი შჩერბაკი საკითხს ისტორიული პერსპექტივით მიმოიხილავს და კულტურული ნაციონალიზმის განვითარების პერიოდიზაციას სამ ძირითად ეტაპად ახდენს: ადრეულ საბჭოთა ხანას, ტერი მარტინის წიგნის გავლენით, ის უწოდებს „დადებითი იმპერიული ქმედების“ (Affirmative Action Empire) პერიოდს, როცა ნაციონალიზმის საფრთხის მიმართ საბჭოთა მმართველების მიერ ყურადღება უფრო გამახვილდა და ამ ფენომენის სერიოზულობა ეჭვქვეშ აღარ იდგა, განსაკუთრებით მულტიეთნიკურ იმპერიაში. ტერი

მარტინი თავის წიგნში „დადებითი მოქმედების იმპერია“ ამ პოლიტიკას აღწერს, როგორც ადგილობრივი ნაციონალიზმების წახალისებას კულტურული და საგანმანათლებლო პოლიტიკის წინ წამოწევის გზით (Martin, 2001, გვ. 3-4). ამ დროის განმავლობაში საბჭოთა კავშირი იქცა ერთგვარ „ინკუბატორად“, რომელიც არათუ ახალისებდა ეთნიკურ განსაკუთრებულობას, არამედ ქმნიდა ახალ კულტურულ მარკერებს მის შემადგენლობაში მყოფი სხვადასხვა ეთნოსებისთვის. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ ყველა ხალხს ჰქონდა თანაბარი უფლება, ეარსება და ეფუნქციონირა საკუთარ ადგილობრივ ენაზე.

მეორე ეტაპი, რომლის დროსაც საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის ფარგლებში კულტურულმა ნაციონალიზმმა ერთგვარი მოდიფიკაცია განიცადა, იყო რუსეთის, როგორც „დიდი ძალის“ ნაციონალიზმი, რომელსაც სათავეში სტალინი ჩაუდგა. სტალინი სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებდა რუსი ხალხის როლს ახალი საბჭოთა სახელმწიფოს ფორმირებაში. ამ დროს იწყება რუსი ისტორიული პირების, პოეტების, მწერლებისა და მეცნიერების აქტიური პროპაგანდა. შჩერბაკი მთელ ამ პროცესს აღწერს, როგორც „სლავოფილიზმს“ (Shcherbak, 2013, გვ. 12). საბჭოთა ელიტამ კულტურული და საგანმანათლებლო პოლიტიკაც რუსიფიკაციისკენ მიმართა, რის შედეგადაც რუსული ენა კიდევ უფრო წინ წამოიწია სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულების ფუნქციონირებაში - საგანმანათლებლო, მეცნიერულ თუ ბეჭდვით საქმიანობაში. ეს არ ნიშნავდა ადგილობრივი ენების როლის შემცირებას. ამ პერიოდის ნაციონალური პოლიტიკის ასახსნელად ერთ-ერთი მთავარი ნაშრომია სტალინის „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, სადაც ის აყალიბებს ძირითად პრინციპებს საბჭოთა პოლიტიკის ხედვის შესახებ ეროვნული პოლიტიკის და ნაციონალიზმის მიმართ. სტალინი მკაცრად აკრიტიკებს ნაციონალიზმის ავსტრიული სკოლის წარმომადგენლებს განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება კულტურული ავტონომიის მინიჭებას სხავდასხვა ეთნიკური ჯგუფებისთვის, თუმცა თავის ნაშრომში ის ხაზს უსვამს, რომ ეთნიკურმა ჯგუფებმა უნდა ისარგებლონ თანაბარი უფლებებით ნებისმიერ ერთობაში. ამ თვალსაზრისით სტალინისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ენის საკითხი - ყველა ეთნოსს უფლება უნდა ჰქონოდა საკუთარ ენაზე მიეღო განათლება და ეწარმოებინა საქმე. ლინგვისტური კრიტერიუმებით მინიჭებული

უფლებები სტალინის თეორიაში, ჰულას აზრით, ემსახურებოდა ნაციონალიზმის დეპოლიტიზაციას მულტიეთნიკურ სახელმწიფოში. ამგვარი პოლიტიკის შედეგი კი სხვადასხვა ეთნოსების გაერთიანება უნდა ყოფილიყო (Hula, 1944, გვ. 178 – 179). სლეზკინი ფიქრობს, რომ სტალინის გეგმა უმთავრესად მიმართული იყო ცენტრალიზაციისკენ „ყველა არსებით საკითხში", მაგრამ ამავე დროს ისეთ არაარსებით საკითხებს, როგორიცაა „ენა" და „კულტურა", არსებულ მოცემულობად განიხილავდა (Slezkine, 1994, გვ. 426). ტერი მარტინს სტალინის ნაციონალური პოლიტიკის დასახასიათებლად მოჰყავს მისი ცნობილი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ეროვნული კულტურრები ეროვნულია ფორმით, ხოლო სოციალისტურია თავისი კონტექსტით", თუმცა ავტორი ამ განმარტებაში ბუნდოვანებას ხედავს და სტალინის რიტორიკას ხსნის, როგორც არა „ნაციონალური კულტურების", არამედ „სიმბოლური ეთნიკურობის" ფენომენს (Martin, 2001, გვ. 12-13).

სიმბოლურობის ფაქტორი კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა „ნატივიზაციის" ანუ „ადგილობრივი ელიტების ნდობის" ხანაში, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა წინამდებარე ნაშრომის საკვლევი პერიოდიდან გამომდინარე. „ნატივიზაციის" პროცესი, რომელიც ანტისტალინისტურ და ნაკლებად რუსოფილურ პოლიტიკას გულისხმობდა, სტალინის სიკვდილის შემდეგ დაიწყო და გორბაჩოვის ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე გაგრძელდა (Shcherbak, 2013, გვ. 14-16). ხრუშჩოვმა აქტიურად მიჰყო ხელი საბჭოთა კავშირის მულტიეთნიკურობის მნიშვნელობის ხაზგასმას, ხოლო ბრეჟნევმა კიდევ უფრო გაამძაფრა ეს პოლიტიკა ადგილობრივი ელიტების წინ წამოწევის გზით. დაიწყო ინტელექტუალებისთვის ახალი შესაძლებლობების უზრუნველყოფა საგანმანათლებლო, სოციალურ თუ სამეცნიერო სფეროებში (Shcherbak, 2013, გვ. 15). 1934 წლის საბჭოთა მწერლების ყრილობაზე გადაწყდა, რომ ყველა საბჭოთა ხალხს უნდა ჰყოლოდა საკუთარი კლასიკოსები, დამფუძნებელი მამები და კულტურული სიმდიდრე (Slezkine, 1994, გვ. 449). აღნიშნული მოვლენა შჩერბაკის მიერ შემოთავაზებული პერიოდიზაციის მიხედვით ადრეულ საბჭოთა პერიოდს ემთხვევა, თუმცა, სლეზკინის თქმით, ეს პოლიტიკა მთელი 60 წლის მანძილზე გრძელდებოდა და 1960-1980-იან წლებშიც მიმდინარეობდა ტარას შევჩენკოს „კლასიკოსად", უძველესი სომხური თქმულებების „ეპიკური ლიტერატურის

საუკეთესო ნიმუშად“ და „ვეფხისტყაოსნის“ დასავლური ინტელექტუალური მოძრაობების „წინამორბედად“ შერაცხვა (Slezkine, 1994, გვ. 449-450).

საბჭოთა ეროვნული პოლიტიკიდან გამოთიშული არ ყოფილა არც საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა. 1980-იან წლებში ქართული კულტურული ელიტა პრივილეგირებულ ფენას წარმოადგენდა: ისინი სარგებლობდნენ სახელმწიფოს მიერ გაღებული ისეთი სიკეთეებით, როგორიცაა სუბსიდირებული კინოთეატრები, გაზეთები, გამომცემლობები და უნივერსიტეტები. სანაცვლოდ ისინი სახელმწიფოსთვის ხდებოდნენ „კულტურის მწარმოებლები“, რაც იყო პროცესი, რომელიც საბჭოთა რეჟიმის ლეგიტიმაციას ახდენდა. რეჟიმის ერთგულ ელიტებს კომუნიზმის ნაციონალიზაციის უფლებაც ჰქონდათ (ჯონსი, 2013, გვ. 15-16).

4.2. ფეხბურთი, როგორც საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის ნაწილი და საბჭოთა საქართველო 1960-1980-იან წლებში

ფეხბურთს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში ამბივალენტური სტატუსი ჰქონდა: ერთი მხრივ, ფორმალურად სპორტსმენები იყვნენ მოყვარული მოთამაშეები, ხოლო სპორტული გუნდები თუ ნაკრებები მოხალისეობრივ სოციალურ საზოგადოებებად იწოდებოდნენ. მეორე მხრივ, ფაქტობრივად ისინი პროფესიონალი მოთამაშეები იყვნენ და სამთავრობო გუნდებს წარმოადგენდნენ (Ovsepyan, 2016, გვ. 1).

საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის მიხედვით საბჭოთა კავშირის ყოველ რესპუბლიკას საკუთარი კულტურული თუ იდენტობის განმსაზღვრელი სხვა მარკერები უნდა შეენარჩუნებინა. 1960 - 1980-იან წლებში საქართველოს რესპუბლიკას ჰქონდა თავისი სახელმწიფო ჰიმნი, გერბი, დროშა და, რა თქმა უნდა, ჰყავდა თავისი საფეხბურთო გუნდები. როგორც სტივენ ჯონსი შენიშნავს, ეს გუნდები არ იწოდებოდნენ ოფიციალურად

„ეროვნულ“ გუნდებად, მაგრამ უფრო ეროვნულები იყვნენ, ვიდრე რომელიმე დღევანდელი ეროვნული ევროპული საფეხბურთო გუნდი (ჯონსი, 2013, გვ. 11). ისმერი, ბაიერი, სოლმს-ბარუთი და ვონ შივი ხედავენ ფეხბურთის ორმხრივ როლს სხვადახვა უმცირესობების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირების და, ამავე დროს, მათი მარკირების (მონიშვნის, გამოყოფის) თვალსაზრისით. გუნდების და მათი გულშემატკივარი საზოგადოებების გარშემო სიმბოლური გამყოფი საზღვრების დადგენის შედეგად ყალიბდება ერთგვარი იდენტობა, რომელიც ხაზს უსვამს ამა თუ იმ ჯგუფის ინდივიდუალობას (Ismer, Beyer, Solms-Baruth, von Scheve, 2015, გვ. 3). მსგავსი პრინციპით საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა აქტიურად გამოეყენებინა ფეხბურთი საკუთარი ეროვნული პოლიტიკის გასატარებლად. ფეხბურთმა თბილისელების, როგორც საკუთრივ ქართული საზოგადოების განსხვავებულობა გარკვეულ ჩარჩოში მოაქცია და თავისი ნიშა მიანიჭა ქართველებს დიდ „კომუნალურ ბინაში“.

„უძრაობის ხანად“ მონათლულ 1970-1980-იან წლებში ქართული სპორტი და კულტურა რომ აღმავლობას განიცდიდა, ამის შესახებ წერს თავის დისერტაციაში ირაკლი ჩხაიძე. ხედავს რა მჭიდრო კავშირს ფეხბურთსა და ნაციონალიზმს შორის, მისი აზრით ფეხბურთში [და სხვა სპორტულ თუ კულტურულ სფეროებში] მიღწეულ წარმატებებს ხელს თავად კომუნისტური ხელისუფლება უწყობდა და ისინი განიხილებოდა, როგორც ქართული საზოგადოების ეროვნული მიღწევები. ამგვარი პოლიტიკის შედეგად მიღებულ ნაციონალიზმს ის სახელმწიფოს მიერ ინსტიტუციონალიზებულ „ოფიციალურ“ ნაციონალიზმს უწოდებს (ჩხაიძე, 2011, გვ. 35-36). მართლაც, კვლევის ფარგლებში გულშემატკივრებთან ჩატარებული სამივე ფოკუს-ჯგუფის და შვიდივე ინტერვიუს ფარგლებში რესპონდენტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ თბილისის „დინამო“ აღიქმებოდა საბჭოთა საქართველოს არაოფიციალურ ეროვნულ ნაკრებად. კლუბი იყო ერთ-ერთი თვალსაჩინო მექანიზმი ეროვნულობის გამოხატვისთვის და ნაციონალური სიამაყის დაკმაყოფილებისთვის.

საბჭოთა ნაციონალურ პოლიტიკას თავისი შეზღუდვებიც გააჩნდა: საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის დაარსებიდან რამდენიმე ათეული წლის მანძილზე

წარმოუდგენელი იყო, რომ საკავშირო ჩემპიონატი არარუსულ გუნდს მოეგო. უფრო მეტიც, პირველ ადგილზე აუცილებლად მოსკოვური გუნდებიდან ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო. კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფის ფორმატის დისკუსიები ცხადყოფს, რომ საზოგადოებამ კარგად იცოდა, რომ სტალინის და ხრუშჩოვის მმართველობის ქვეშ ქართულ საფეხბურთო კლუბს საბჭოთა ჩემპიონატის მოგების შანსი პრაქტიკულად არ ჰქონდა. სწორედ ამაზე საუბრობს გაზეთ „ლელოს“ რედაქტორი, სპორტული ჟურნალისტი თენგიზ გაჩეჩილაძე, როდესაც ამბობს: „ჩვენთვის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი არ არ იყო ნაკლები ჩემპიონატი, ვიდრე დღეს არის ნებისმიერი ევროპის ქვეყნის ჩემპიონატი. ძალიან ძლიერი ჩემპიონატი იყო! და ამ ჩემპიონატის დროს ჩვენ არაერთხელ (!) გამოგვტაცეს ჩემპიონობა. თვალსა და ხელს შუა ფინალურ მატჩებში, ან პრინციპულ მატჩებში მსაჯი გვჩაგრავდა“ [თ. გაჩეჩილაძე, პირადი კომუნიკაცია, 2017 წლის 14 ივნისი].

ფეხბურთელ ვლადიმერ ბარქაიას მოგონებებიდან წავაწყდებით ერთ ფაქტს, რომელიც 1936 წელს მოხდა ქართული ფეხბურთის ისტორიაში ჯერ კიდევ იოსებ სტალინის მმართველობის დროს: *„თბილისის „დინამო“ გავიდა ფინალში [მოსკოვის] „სპარტაკთან“. როგორც ყოველთვის, ეს დიდი ამბავი იყო და შეახსენეს სტალინს. ადგა ეს კაცი, მოვიდა და იკითხა: „სად არის რუსეთიო? სად არის საქართველო? და დაჯდა. მიხვდნენ, რომ მეორე ადგილზე უნდა იყოს საქართველო.“* (Film Archieve of Georgia, 2014). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოგონება განიცდის დეტალების სიზუსტის ნაკლებობას და, ერთი შეხედვით, ლეგენდას უფრო შეიძლება ჰგავდეს, ვიდრე სინამდვილეს, ფაქტია, რომ მსგავსი მოსაზრებები საბჭოთა ნომენკლატურის საფეხბურთო მოვლენებში აქტიური ჩარევის შესახებ არა მხოლოდ ქართულ საზოგადოებაში, არამედ ფეხბურთელებს შორისაც არსებობდა.

მართლაც, 1964 წლამდე კიევის „დინამო“ იყო ერთადერთი არარუსული კლუბი, რომელსაც ეს ტიტული ჰქონდა მოპოვებული[6], რის არაოფიციალურ მიზეზადაც რესპონდენტთა ნაწილი ცენტრალური ხელისუფლების კეთილი ნების არარსებობას

[6] იხ. დანართი N2

ასახელებს. საკავშირო ჩემპიონატზე მოსკოვი წარმოდგენილი იყო ოთხი ძირითადი საფეხბურთო კლუბით: „დინამო“, „ტორპედო“, „ცსკა” და „სპარტაკი“. მოსკოვის „ლოკომოტივი“ პერიოდულად ჩნდებოდა ამ შემადგენლობაში და არაოფიციალურად „მოსკოვის მეხუთე ბორბლად“ იწოდებოდა (Ovsepyan, 2016, გვ. 2). როგორც ფეხბურთელი გიორგი სიჭინავა იხსენებს, *„მაშინ [თბილისის „დინამოში“] სუსტი არავინ იყო, ყველა მაგრად თამაშობდა, მაგრამ პირველი ადგილის მოპოვება შეუძლებელი იყო იმიტომ, რომ მოსკოვის ხუთი გუნდი იყო და ეს ხუთი გუნდი ერთმანეთს აძლევდა ქულებს.“* (Film Archieve of Georgia, 2014). სხვა რესპუბლიკებს აუცილებლად უნდა ჰყოლოდათ წარმომადგენელი უმაღლეს ლიგაში, თუმცა ყველაფერი „ზემოდან მართვადი“ უნდა ყოფილიყო.

„ზემოდან მართვა“ ხდებოდა ნებისმიერი ბერკეტის გამოყენებით, რაც საფეხბურთო კლუბის მიერ დაფიქსირებულ შედეგებზე ახდენდა გავლენას - ზეწოლა მსაჯებზე, სამწვრთნელო პოლიტიკა, გუნდური გარიგებები, თამაშების არაკომფორტულ დროსა და ადგილზე დანიშვნა და ა.შ. სპორტულ ჟურნალისტის ოთარ გაგუას თქმით, *„ბევრი იყო, რბილად რომ ვთქვათ, უნამუსო გადაწყვეტილებები. 1953 წელში მოსკოვის „ტორპედოს“ ვეთამაშებოდით, ხოდა მოვიგეთ და მერე გადაგვათამაშეს. გადაგვათამაშეს და მერე წაგვაგებინეს. გასაჩვრებაც როგორ იყო, იცით? არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას... ძალიან გვჩაგრავდნენ, ერთი სიტყვით, როგორც წესი, ყოველთვის მსხვერპლი ვიყავით.“* (Film Archieve of Georgia, 2014).

სამწვრთნელო პოლიტიკაც, რომლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ასევე „ზემოთ“ ხდებოდა, გადამწყვეტ დროს უცნაურად და, უმეტეს შემთხვევაში, თბილისის „დინამოს“ საზიანოდ იცვლებოდა ხოლმე. *„იმ დროს ცკ-ს ნებისმიერის მოხსნა შეეძლო“* - იხსენებს გიორგი სიჭინავა (Film Archieve of Georgia, 2014). ამის კარგი მაგალითია 1953 წელს დამსახურებული საბჭოთა ფეხბურთელისა და ჰოკეისტის, ხოლო შემდგომში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საფეხბურთო მწვრთნელის მიხეილ იაკუშინის კლუბის მწვრთნელის პოსტიდან მოხსნა. მიხეილ იაკუშინი თბილისის „დინამოს“ მწვრთნელის პოსტზე 3 წლის განმავლობაში მუშაობდა. თბილისში მუშაობის ბოლო სეზონზე გუნდს 6

თამაშიდან 11 ქულა ჰქონდა დაგროვებული, თუმცა მოულოდნელად ის გავრილ კაჩალინმა შეცვალა. ამავე წელს იაკუშინი მოსკოვის „დინამოს“ მწვრთნელის რანგში საბჭოთა კავშირის საფეხბურთო თასის მფლობელი გახდა. როგორც ილია დათუნაშვილი იგონებს, *„ხელმძღვანელობა ისეთი იყო, რომ რაც უნდა ეთქვათ მწვრთნელისთვის, ის უნდა გაეკთებინა, და ეს არ უჯერებდა. არ მოწონდათ და მაგიტომ გაუშვეს, თორემ როგორ შეიძლებოდა მაშინ იაკუშინის გაშვება და კაჩალინის ჩამოყვანა“* (Film Archieve of Georgia, 2014).

1964 წლის 18 ნოემბერი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ღირსშესანიშნავ თარიღად ითვლება, რადგან სწორედ ამ დღეს მოიგო თბილისის „დინამომ“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა პირველად თავისი არსებობის ისტორიაში. აქამდე გუნდს თავისი ეს ტიტული არასდროს მოუგია თუმცა რამდენჯერმე გავიდა მეორე ადგილზე. 1964 წლის ჩემპიონატზე „მოსკოვის ტორპედომ“ და „თბილისის დინამომ“ თანაბარი 46-46 ქულა დააგროვეს, რის შედეგადაც დაინიშნა გადათამაშება. მატჩი უზბეკეთში, ტაშკენტში „პახტაკორის“ სტადიონზე შედგა და ის „თბილისის დინამოს“ გამარჯვებით 4-1 დასრულდა. ყურადღების ღირსია „დინამოელების“ რიგებიდან ილია დათუნაშვილის მიერ გატანილი მეორე გოლი, რომლის შედეგადაც გუნდი 1-1 ანგარიშის შემდეგ წინ გაიჭრა. დღემდეა შემორჩენილი დოკუმენტური კადრები, რომლებიც ასახავს ცნობილი ქართველი კომენტატორების - ეროსი მანჯგალაძისა და კოტე მახარაძის- სიხარულს, როდესაც ისინი ერთმანეთს ეხვევიან, შემდეგ კი ეროსი მანჯგალაძე მიკროფონს კოცნის (Film Archieve of Georgia, 2014).

მატჩების კომენტირების თვალსაზრისით საინტერესოა, ასევე, კიდევ ერთი ლეგენდარული კომენტატორის, ეროსი მანჯგალაძის დიპლომატიური ლექსიკა: დოკუმენტურ ფილმში „ოქროს ბიჭები“ მკითხველი წააწყდება თბილისის „დინამოს“ მიერ გამართული ერთ-ერთი მატჩის კადრებს დათოვლილ სტადიონზე. ეროსი მანჯგალაძე აღნიშნული მატჩს რეპორტაჟს შემდეგნაირად წარმართავს: *„ჩვენი აზრით, უხერხულია ასეთ რამეს ფეხბურთის მწვანე მინდორი დაუძახო. თუმცა აქაც სიამოვნებით ითამაშებდა კაცი, ითამაშებდა ჰოკეის. ასეა თუ ისეა, ეს მოულოდნელი სიურპრიზი კარგს არაფერს უქადდა*

მაღალტექნიკურ ფეხბურთელებს... თოვლმა თვალსაჩინო შეღავათი მისცა ძალისმიერ მეტოქეს.“(Film Archieve of Georgia, 2014).

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების ფორმატის დისკუსიების შედეგად ვლინდება, რომ აღნიშნულ მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი მოსახლეობისთვის არაერთი მიზეზის გამო. პირად ინტერვიუში „თბილისის დინამოს“ თავდამსხმელი ილია დათუნაშვილი იხსენებს: *„[19]64-ში ჩვენ გაგვიმართლა, ძალიან გაგვიმართლა, რომ მაშინ ხრუშჩოვი გადააყენეს და ჩვენთვის არავის ეცალა. მაგიტომ დანიშნეს მსაჯი რუბენისი, თორემ ასეთ თამაშებში სულ მოსკოველებს ნიშნავდნენ, ოღონდ კი ჩვენ არ მოგვეგო არაფერი.“*[ი. დათუნაშვილი, პირადი კომუნიკაცია, 2017, 6 ივნისი]. *„რუსეთი იმას როგორ დაუშვებდა, რომ თბილისურ გუნდს რუსებისთვის ეჯობნა“* - აცხადებს ერთ-ერთ ინტერვიუში გულშემატკივარი.

ძალიან მნიშვნელოვან მოვლენას ჰქონდა ადგილი 1977 წლის 23 ივლისს თბილისში გამართული მატჩისას თბილისის „დინამოსა“ და ვოროშილოვგრადის „ზარიას“ შორის. მატჩს ლიტველი არბიტრი რომუალდას იუშკა სჯიდა. ამ დროისთვის თბილისის „დინამო“ სატურნირო ცხრილში მეორე ადგილს იკავებდა. გულშემატკივრები, რომლებიც მატჩს ესწრებოდნენ, იგონებენ, რომ იუშკა განსაკუთრებით უსამართლო იყო ქართველი ფეხბურთელების მიმართ. და მაშინ, როცა თამაშის მიწურულს ერთ-ერთი „დინამოელი“ სტუმართა საჯარიმოში წაიქცა, მან საფინალო სასტვენს ჩაჰბერა მიუხედავად იმისა, რომ სათამაშო დროის ამოწურვამდე 2 წუთი იყო დარჩენილი. ტრიბუნების წინა ნაწილებიდან ქართველი გულშემატკივრის ნაწილმა იწყო მოედანზე გადასვლა. როგორც გულშემატკივრები იხსენებენ, ქართველი ხალხი კონკრეტულად იუშკას ქმედებებით კი არ იყო გაღიზიანებული, არამედ იმით, რომ ეს პირველად არ ხდებოდა. მსაჯები ხშირად ავიწროვებდნენ თბილისის დინამოელებს და ქართველი ქომაგების გარკვეული ნაწილი ამას აღიქვამდა საკავშირო ფედერაციისა და მოსკოვის ჩინოვნიკების მითითება-მცდელობად: არ დაეშვათ თბილისელების გამარჯვება სსრკ-ს ჩემპიონატში (პაჭკორია, 2012). არეულობა დაიწყო, რამდენიმე დაშავებულიც კი იყო გულშემატკივრებიდან. აღელვებული მასების

დამშვიდება ჯერ კოტე მახარაძემ სცადა, შემდეგ დავით ყიფიანმა. რესპონდენტები ფოკუს ჯგუფის ფორმატის დისკუსიებში ამახვილებენ ყურადღებას იმაზე, რომ ერთსაც და მეორესაც ქართველი გულშემატკივარი სიყვარულით და პატივისცემით შეხვდა. თუმცა მღელვარება არ ცხრებოდა. გაჩნდა მოლოდინი, რომ მასების დასაშოშმინებლად დამატებითი ჯარის შემოყვანა გახდებოდა საჭირო. ხალხს დაშლის თხოვნით ედუარდ შევარდნაძემაც[7] მიმართა, თუმცა უშედეგოდ. ბევრისთვის მოულოდნელად, შევარდნაძემ დატოვა სამთავრობო ლოჟა, გადავიდა ტრიბუნებზე, შემდეგ მინდორზე და მაყურებელს სიტყვით მიმართა - ის სთხოვდა მათ, დაშლილიყვნენ. ეს მოულოდნელი და გასაკვირი იყო, რადგან იმ დროს სსრკ-ში, მათ შორის საქართველოშიც, არ იყო მიღებული კომპარტიის ლიდერების მოულოდნელი გამოსვლა მასაში (პაჭკორია, 2012). თავისი მოკლე მიმართვის შემდეგ, რომლითაც ის ქართველებს დაშლისკენ მოუწოდებდა, გასასვლელისკენ დაიძრა, და ხალხი მას გაჰყვა.

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც რასელ ჰარგრეივი წერს, ფეხბურთი თავისი ისტორიით შეიძლება გახდეს სახელმწიფო მანქანის ხელში მასების სამართავი მექანიზმი ტრადიციათა შექმნისა და კონტროლის გზით (Hargrave, 2007, გვ. 241), რასაც ხელს უწყობს ის, რომ გულშემატკივართა ემოციური გრძნობებით აღვსილი მასებისთვის სასურველი ისტორიული ნარატივების შექმნა საკმაოდ მარტივია.

[7] საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იმდროინდელი პირველი მდივანი;

5. პრესა და ქართული ფეხბურთი, როგორც ნაციონალიზმის რეპროდუქციის მექანიზმი

პრესის როლი მასების ზოგადი განწყობის შექმნაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ეს ის სივრცეა, ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე უზარმაზარ მასშტაბებზე ხდება ინფორმაციის მიმოცვლა და ყალიბდება ერთიანობის განცდა. ბეჭდური მედიის სხვადასხვა ნიმუშებს, რა ფორმატისა და პროფილისაც არ უნდა იყვნენ ისინი, ყოველთვის აქვთ ერთი იკონური მახასიათებელი: სპორტული გვერდი. ჯონ ჰანტერის თქმით, სპორტის საკითხების გაშუქება და სპორტული მოვლენების თავის თავში შეთვისება ქმნის სპორტულ ინტერფეისს ბეჭდურ პრესაში, რაც ყიდის გაზეთს (Hunter, 2010, გვ. 412). კაზუო უჩიუმი კი უფრო შორს მიდის და გაზეთებისა და ჟურნალების სპორტულ გვერდებს ნაციონალიზმის დონის ზრდაში „ადანაშაულებს“ (Uchiumi, 2012, გვ. 5).

წინამდებარე თავში მიმოხილულია პრესისა და ნაციონალიზმის ურთიერთკავშირის ძირითადი ასპექტები, რის შემდეგაც წარმოდგენილია, თუ როგორ ხდებოდა ქართულო ფეხბურთის მნიშვნელობის ასახვა საბჭოთა პრესაში 1960-1980-იან წლებში.

5.1.პრესის როლი ნაციონალიზმის გაღვივებაში

ბენედიქტ ანდერსონი პრესის როლს ნაციონალიზმის განვითარების პროცესში საკმაოდ მნიშვნელოვნად აღიქვამს. „წარმოსახვითი საზოგადოების“ თეორიის ჩამოყალიბებისას ის ამბობს, რომ პრესა ეს ის სივრცეა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოსახვით კავშირებს სხვადასხვა მოვლენებს შორის. ეს მოვლენები განთავსებულია გაზეთის ნომერში, რომელსაც ერთი გამოშვების თარიღი აქვს (Anderson, 2006, გვ. 33). გარდა გაზეთის კუთხეში მითითებული თარიღისა, მნიშვნელოვანია ბეჭდური მედიისა და მომხმარებლის ურთიერთობა, როგორც მოვლენებს შორის წარმოსახვითი კავშირის

წარმოქმნისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. ბეჭდური მედია ქმნის საერთო ენას მისი მკითხველისთვის. „ბეჭდური კაპიტალიზმის“ ეპოქაში ამ ენის საშუალებით ერთობების წევრებმა აღმოაჩინეს, რომ ერთსა და იმავე ერთობაში მილიონობით მათნაირი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ადამიანებმა უკეთ გაუგეს ერთმანეთს და კომუნიკაცია მათ შორის კიდევ უფრო გააქტიურდა. „ბეჭდური კაპიტალიზმი“ აყალიბებს ერთიანი კულტურის, საერთო ბედის, ისტორიისა და წინაპრების „წარმოსახვითვის“ შესაფერის გარემოს, რის საფუძელზეც იქმნება წარმოდგენა ერის შესახებ. აქედან გამომდინარე, ანდერსონის დასკვნით, ნაციონალიზმი გაგებული უნდა იქნეს არა როგორც პოლიტიკური იდეოლოგია, არამედ როგორც ფართო კულტურული სისტემა, რომელიც ქმნის საფუძველს პოლიტიკური მიზნებისა და მოძრაობებისთვის (დავითაშვილი, 2003, გვ. 122).

პრესის მიერ საკვანძო საფეხბურთო მოვლენების გაშუქების ინტენსიობამ ფეხბურთის ინსტიტუციონალიზაციის[8] შემდგომ საგრძნობლად მოიმატა (Nissen, 2015, გვ. 1), რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა მასების ჩართულობის შესამჩნევი ზრდა საფეხბურთო სამყაროში. პრესა უზრუნველყოფს მაყურებლებისა და საფეხბურთო სიახლეებით დაინტერესებული საზოგადოების რაოდენობის ზრდას, და რაც უფრო დიდია ეს საზოგადოება, მით უფრო დიდია რიტუალი და მით უფრო სიმბოლური ხდება ის (Uchiumi, 2012, გვ. 5). მაიკლ ბილიგის თქმით, ყოველდღიურ ცხოვრებაში ბანალური ნაციონალიზმის რეპროდუქცია მუდმივად მიმდინარეობს. აღნიშნულ პროცესში პრესის სპორტული გვერდი შეიძლება ჩაითვალოს ამგვარი ეროვნული სენტიმენტების ერთ-ერთ გამოვლინებად, რადგან სწორედ ამ გვერდებზე „ფრიალებს დროშა ყველაზე დიდი პატრიოტული ენთუზიაზმით“ (Bilig, 1995, გვ. 119). სპორტულ გვერდებზე, როგორც წესი, თავს იყრის ყველა ის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ერის (ან ამა თუ იმ საზოგადოების) საკვანძო გამარჯვებებსა და მარცხს, ან წარმატებასა და წარუმატებლობას ასახავს, რადგან სიმბოლურად სპორტულ მოვლენებს საზოგადოების წევრებისთვის ეროვნული მნიშვნელობა გააჩნია. აქედან გამომდინარე, სპორტული გვერდების მნიშვნელობას ნაციონალიზმის რეპროდუქციაში განაპირობებს ის ფაქტი, რომ სწორედ აქ ვლინდება

[8] პირველ რიგში მოიაზრება FIFA-ს შექმნა 1904 წელს

ერების, ეთნოსების, რასების მიმმართ ყველაზე გავრცელებული სტერეოტიპები (O'Donnel, 1994, გვ. 345).

5.2.ქართული საბჭოთა პრესა და ფეხბურთი

ქართული პრესის მიმოხილვის შედეგად ვლინდება რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც იკვეთება 1960-იანი წლებიდან ქართულ ფეხბურთში განვითარებული მოვლენებისა და ნაციონალიზმის ურთიერთკავშირის კონტექსტში. კვლევის ფარგლებში გაანალიზებული გაზეთები „კომუნისტი" და „ლელო" წარმოადგენს როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასევე სპორტული მედიის ყველაზე პოპულარულ და კითხვად ნიმუშებს, რაც საშუალებას იძლევა, დაცული იყოს ბალანსი გამოცემების ძირითად პროფილებს შორის.

საგაზეთო სტატიები მეტნაკლებად ნათელ სურათს იძლევა 1964 წლის ნოემბერში გასამართ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალური მატჩის მნიშვნელობის შესახებ ქართველი გულშემატკივრისთვის. ფეხბურთის მასობრიობას საბჭოთა საქართველოში ხაზს უსვამს გაზეთ „კომუნისტის" 17 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული წინასამატჩო მიმოხილვა, რომელშიც ვკითხულობთ: *„ჩვენი ქვეყნის რომელი კუთხიდან არ ნახავთ აქ ჩამოსულებს, მაგრამ თბილისელები მაინც ჭარბობენ. როგორც ქალაქის სპორტკავშირში გვაცნობეს, ფეხბურთის მოყვარულთა ყველაზე დიდ ჯგუფს ხვალ და მატჩის დღეს, 18 ნოემბერს მოელიან. რომ აღარაფერი ვთქვათ ლაინერთა რიგგარეშე რეისებზე, ტაშკენტისაკენ მოდის ტურისტული მატარებელი"* (გაბელია, 1964).

პოსტსამატჩო რეპორტაჟებშიც აღნიშნულია: *„ტაშკენტელები ვერ მალავდნენ აღტაცებას შორი ქვეყნიდან ჩამოსული თავდადებული გულშემატკივრების მიმართ. მართლაც, ვის არ ნახავდით აქ - მხცოვან ადამიანებს, ექიმებს, ჟურნალისტებს, ძველი და ახალი თაობის სპორტსმენებს, მსახიობებს, მუშებს და, რა თქმა უნდა, ახალგაზრდებს -*

ერთი სიტყვით, აღტაცებულ ადამიანებს“ (გამარჯვების სიხარული - რეპორტაჟი პახტაგორის სტადიონიდან, 1964).

ერის კონსოლიდაციის თვალსაზრისით საყურადღებოა სპორტულ გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილები 1981 წლის 13 მაისს გასამართ უეფას თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩის წინ. სწორედ პრესის საშუალებით გამოხატავდა სრულიად ქართველი ერი იმ მოლოდინებს, რომელიც წინ უძღოდა თასების თასის ეიფორიას:

„თბილისი, „ლელოს“ რედაქციას!

ვიმყოფებოდით რა როტერდამში ჟურნალ „ფუტბოლ ინტერნაციონალში“ წავიკითხეთ ინტერვიუ „ფეიენოორდის“ მწვრთნელთან, სადაც იგი აღნიშნავს, რომ თბილისის „დინამო“ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია ევროპაში. ტანკერ „ალექსანდრე წულუკიძის“ ეკიპაჟი დარწმუნებულია, რომ ჩენი ფეხბურთელები გაამართლებენ ამ შეხედულებას, გავლენ ფინალში და იქაც გამოიჩენენ თავს, მივემგზავრებით ბრაზილიაში და თბილისის დინამოელებს ვუსურვებთ ახალ გამარჯვებებს. ეკიპაჟის სახელით, კაპიტანი ჭარხალაშვილი“(იმედის თვალით! 1981, გვ. 3).

სტატიების ანალიზისას იკვეთება ასევე ქართული საბჭოთა ელიტის მნიშვნელოვანი როლი საფეხბურთო წარმატებების შედეგად გამოწვეული ნაციონალური გრძნობების გაღვივებაში ორი ძირითადი მიმართულებით: პრესა, პირველ რიგში, თავად მოთამაშეებს აქცევს ეროვნულ გმირებად, ბეჭდავს მათ კომენტარებს არა მხოლოდ საფეხბურთო ანალიზის თვალსაზრისით, არამედ გულშემატკივრისადმი მიმართვების კონტექსტშიც. მიხეილ მესხი გაზეთ „კომუნისტში“ წერს: *„ოცდაექვსი საფეხბურთო სეზონია ელის ქართველი გულშემატკივარი ოქროს მედლებს თბილისის „დინამოსაგან“ და წელს ყველაზე ახლო ვართ მასთან. დარჩა უკანასკნელი ზღუდე, რომელიც აუცილებლად უნდა გადავლახოთ“* (დიდი ფეხბურთის წინ, 1964). ამავე დროს, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ფეხბურთელების მიმართვებს ემოციური თამაშის დასრულების შემდეგ. ამ მხრივ საყურადღებოა გაზეთ „კომუნისტის“ 19 ნოემბრის გამოცემაში გამოქვეყნებული კომენტარები თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელების მიერ: *„ა. ღოღობერიძე: „ვულოცავ*

ყველა ქართველ გულშემატკივარს მათი საყვარელი „დინამოს“ წარმატებას.“ ჯ. ზეინკლიშვილი: „ვულოცავ ქართველ გულშემატკივრებს ამ დიდ გამარჯვებას.“ შ. იამანიძე: „მთელი გუნდის სახელით მინდა გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით მივულოცო ჩვენს საყვარელ ხალხს ქართული ფეხბურთის წარმატება.“ (გილოცავთ სახელოვან გამარჯვებას, მეგობრებო! 1964).

მეორე მხრივ, პრესა აქტიურად იყენებს სამეცნიერო თუ კულტურული წრეების სხვა წარმომადგენლებს იმისთვის, რომ ქართველებისთვის ფეხბურთში მიღწეულ წარმატების მნიშვნელობას გაესვას ხაზი. იმავე მატჩისშემდგომ გამოშვებაში გაზეთი „კომუნისტი“ აქვეყნებს ქართველი საზოგადო მოღვაწეების მილოცვებს. მაგალითად, ნიკო მუსხელიშვილი წერს: *„მე დიდი მცოდნე არა ვარ ფეხბურთისა, მაგრამ დღეს ალბათ არცერთ გულშემატკივარს არ ჩამოვუვარდები“.* ამავე გვერდზეა გამოქვეყნებული გიორგი ლეონიძის ლექცი „ექსპრომტი ქართველ ფეხბურთელებს“, რომელიც შემდეგნაირად იწყება:

„ო, რა იყო დღეს თბილისში,
გული აღარ გვქონდა ხელთა,
ქართულ ბურთის გამარჯვებით
თითქოს ძვალი გაგვიცხელდა.“

და მთავრდება ასე:

„და თბილისმაც შეიფერა,
რომ ვეფხვების არის ბუდე,
შვილებს გზავნის გარეთ მისთვის,
რომ სახელით დაუბრუნდნენ!“

„გარეთ“ გაგზავნილ თბილისელებს კი ამავე გვერდზე ულოცავენ ქართული ტრადიციული ელემენტების გაფორმებული კარიკატურებით.

საგაზეთო სტიების ანალიზისას გამოვლინდა ყურადსაღები დეტალები, რაც უკავშირდება იმ ძირითად ნარატივებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირი ქმნიდა თავისი ეროვნული პოლიტიკის ფარგლებში. ასე მაგალითად: ტერმინები, რომლითაც მოიხსენიებენ საფეხბურთო კლუბის კუთვნილებას და მისი წარმატების ტოპონიმურ მასშტაბებს,

ერთდროულად ასახავს ჩვენ მიერ უკვე ხსენებულ ორმაგ - ინტეგრაციულ და გამომყოფ - ბუნებას. გაზეთ „კომუნისტის“ 19 ნოემბრის ნომერში თბილისის „დინამოს“ ტაშკენტური წარმატება პირველ გვერდზეა გამოტანილი სათაურით „თბილისის „დინამო“ - ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ფეხბურთში (ტრადიციულად სპორტისთვის მიძღვნილ მეოთხე გვერდთან ერთად). სტატიების სათაურებსა და ტექსტებში თბილისის „დინამო“ მოხსენიებულია როგორც „ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი“, რომლის ვინაობაც გამოვლინდა მას შემდეგ, რაც *„საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში პირველად [სსრკ] ჩემპიონობა უნდა გადაეწყვიტა ჩემპიონატის ფინიშზე ერთნაირი მაჩვენებლებით მისული ორი გუნდის მატჩს, რომელსაც მღელვარებით მოელოდნენ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში“* (თბილისის „დინამო“ - ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ფეხბურთში, 1964). აღნიშნულ სტატიაზე იქვეა მინაწერი: *„გუშინ გვიან ღამით სსრ კავშირის 1964 წლის ჩემპიონი ფეხბურთში ტაშკენტიდან თბილისში დაბრუნდა. მრავალრიცხოვანმა გულშემატკივარმა ტყავის ბურთის დიდოსტატებს გულთბილი შეხვედრა მოუწყო“* თბილისის „დინამო“ - ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ფეხბურთში, 1964). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული წერილი გაზეთის პირველ გვერდზეა გამოტანილი, მასში მხოლოდ მატჩის დეტალებია მიმოხილული და საკმაოდ მშრალად ეხება ემოციებს, რომლებიც მოედანზე და აეროპორტში სუფევდა.

საბჭოთა საქართველოში პრესის როლი აღსანიშნავი იყო საბჭოთა იდეოლოგიური პოლიტიკის ფარგლებშიც. გაზეთ „ლელოს“ რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე იხსენებს: „[19]87 წლიდან დაიწყო რუსიფიკაცია საქართველოში. პარტიული ჟურნალ-გაზეთები კონტროლის ქვეშ იყო, რა თქმა უნდა, მაგრამ იყო ისეთი გამოცემები, რომლებსაც ვერ აკონტროლებდნენ. და უცებ თქვეს, ეს ყველაფერი ქართულად რომ გამოდის, რას წერთო, ჩვენ რა ვიცითო... და დაიწყო ეს პროცესი, მაშინ მოვიდა წერილი ჩემ სახელზე, სადაც ეწერა, რომ მემატებოდა ხელფასი, მემატებოდა შტატი (მაშინ ვერავინ აიყვანდა შტატს მოსკოვის გარეშე, პროპაგანდის სამსახურშ უნდა გადაწყვეტილიყო ეგ) - ორი დამატებითი ლიტ. მუშაკი. ის, რაც დაიბეჭდებოდა ქართულად, უნდა გვეთარგმნა რუსულად. მა ახლა დავფიქრდი და ვთქვი, რომ არა, არ გამოვა რუსულად! არც ხელფასი მინდა, არც შტატი

მინდა... გამოვიდა ყველა გაზეთი რუსულად, „ლელო“ არ გამოდის. მაშინ დამიძახეს ცეკაში. კომკავშირელი მუშაკი იყო მაშინ იქ ენდელაძე. მორაგბე იყო და სპორტს კარგად იცნობდა. მითხრა, რო რაშია საქმე, რატო არ გამოდისო რუსულადო. მე ვუთხარი, რომ ხომ იცი, როგორი პოპულარულია, გაზეთი, ეროვნული მეთქი, პირდაპირ ვუთხარი - ეროვნული. კიო, ვიციო. ხალხი შეიძულებს-მეთქი ამ გაზეთს. განა იმიტომ, რომ რსულენოვანი იქნება, აქ სულ სხვა რამე იმალება. ვთქვათ და მსაჯმა იმსაჯა ცუდად, აი წაგვაგებინეს. ამ დროს ხომ არ ვწერთ გაზეთში „უსინდისოდ იმსაჯა“, ან უხეში სიტყვებით. ქართული არის მდიდარი ენა და ჩვენ ვწერთ ისეთ სიტყვებს, რის ქვეტექსტს მკითხველი ხვდება და გულს იფხანს. ამ ქართულ სიტყვას ის რუსი მთარგმნელი რა შესატყვისს მოუნახავს... მე არ ვიცი იქ რა მოხდა, მაგრამ მოიხსნა ეგ თემა. ეს იყო ერთადერთი გაზეთი, რომელიც რუსულად არ გამოვიდა და ხალხმა ათმაგად შეიყვარა“ [თ. გაჩეჩილაძე, პირადი კომუნიკაცია, 2017 წლის 14 ივნისი].

როგორც ვხედავთ, ქართული საბჭოთა პრესა შესაბამისად ირეკლავდა ფეხბურთისა და საზოგადოების განწყობების ურთიერთდამოკიდებულების დინამიკას 1960-1980-იან წლებში. ნებისმიერი პროფილის ბეჭდური მედია ყველა საკვანძო ეპიზოდის შემდეგ აუცილებლად ასახავდა იმ ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც ნაშრომის წინა თავებში მიმოვიხილეთ, როგორც მასების მობილიზაციის განმსაზღვრელი ფაქტორები. განსაკუთრებული ადგილი ეჭირა სპორტულ პრესას საბჭოთა პოლიტიკის კონტექტსტში: ეროვნული პოლიტიკის ფარგლებში გატარებულ არასამართლიან ღონისძიებებს „ლელო“ დიპლომატიური მოხერხებულობით პასუხობდა საგაზეთო სტატიებში. სწორედ ამიტომ, პრესა ხელშესახებად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქართული საზოგადოების ფეხბურთის გარშემო კონსოლიდაციაში.

დასკვნა

ამგვარად, ნაშრომში წარმოდგენილია ფეხბურთისა და ქართული ნაციონალიზმის ურთიერთკავშირი საბჭოთა საქართველოში 1960-1980-იან წლებში ამ ურთიერთკავშირის სხვადასხვა ასპექტების მიმოხილვის საფუძველზე. ფეხბურთს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მასობრივ სპორტის სახეობას, გააჩნია არაერთი მექანიზმი იმისთვის, რომ გარკვეული ერთობისთვის იქცეს თვითგამოხატვის საშუალებად ამა თუ იმ ფორმით, რასაც, როგორც წესი, ხელს უწყობს არსებული რეჟიმის პოლიტიკის თავისებურებები.

ნაშრომში დასტურდება ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც 1960-1980-იან წლებში საბჭოთა მმართველობის პირობებში ფეხბურთი გახდა ეროვნული თვითშეგნების გამოხატვის სივრცე, რის შედეგადაც მასების მობილიზაციის ხელშეწყობის გზით გავლენა იქონია ქართული ნაციონალიზმის გაღვივებაზე. ჰიპოთეზის დადასტურება მოხდა სამი ძირითადი ფაქტორის განხილვისა და ანალიზის გზით: ნაშრომის ძირითად ნაწილში მიმოხილულია ფეხბურთის როლი მასების მობილიზაციის პროცესში, ფეხბურთი, როგორც საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის ნაწილი და საბჭოთა პრესა, როგორც აღნიშნული კავშირის ილუსტრაცია.

ჰიპოთეზაში მოცემული დებულების მეცნიერული თვალსაზრისით გამყარების მიზნით შეიქმნა თეორიული ჩარჩო, რომლის მიხედვით ფეხბურთი მისი შემცველი ელემენტებით არის სივრცე, სადაც ხდება საზოგადოების მსგავსი ინტერესებისა და მისწრაფებების წარმოსახვა, რაც აერთიანებს საზოგადოების ისეთ წევრებსაც კი, რომლებიც შესაძლოა ერთმანეთს არც კი იცნობდნენ (ბ. ანდერსონი, „წარმოსახვითი საზოგადოებები“). ამავე დროს თავისი რიტუალური ხასიათიდან გამომდინარე საფეხბურთო მოვლენები ხდება ნაციონალური სენტიმენტების პერიოდული და, ზოგ შემთხვევაში, ყოველდღიური კვლავწარმოების საფუძველი, ისევე, როგორც, სახელმწიფო დროშა, თუნდაც ის არ ფრიალებდეს (მ. ბილიგი, „ბანალური ნაციონალიზმი“). აღნიშნული პროცესების გამძაფრებას ხშირად ხელს უწყობს პოლიტიკური ელიტების მოტივები, გამოიყენონ ფეხბურთი ძალაუფლების შენარჩუნებისა და ლეგიტიმაციის მექანიზმად. ასეთ დროს

ნომენკლატურის მიერ მიმდინარეობს ტრადიციათა გამოგონების პროცესი, რაც უზრუნველყოფს მასებში გარკვეული საერთო წარმოდგენების შექმნას და სოლიდარობის მძაფრი შეგრძნების ჩამოყალიბებას (ე. ჰობსბაუმი, „ტრადიციათა გამოგონება).

ზემოთ ჩამოყალიბებული თეორიული ჩარჩოს მიხედვით მოხდა ემპირიული მასალის გაანალიზება და კლასიფიცირება 1960-1980-იან წლებში საქართველოში ფეხბურთისა და ნაციონალიზმის ურთიერთკავშირის სამ ძირითად განზომილებად.

პირველ რიგში, წარმოჩინდა ფეხბურთის, როგორც მასების მობილიზაციის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის, როლი ნაციონალიზმის გაღვივებაში. სხვადასხვა დოკუმენტური მასალის, ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფის ფორმატის დისკუსიების გაანალიზების შედეგად ნათელი გახდა, თუ რამდენად აქტიური იყო ქართველი მოსახლეობა თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრობისას. საქართველოს სიბოლურ ნაკრებად აღქმულ საფეხბურთო კლუბს გულშემატკივრობდნენ რესპუბლიკის ყველა კუთხეში. ქართული ფეხბურთის მნიშვნელობა მოსახლეობისთვის დასტურდება იმით, რომ მუდმივად სავსე სტადიონებზე ბილეთების შოვნა უმრავლეს შემთხვევაში წარმოუდგენელი იყო, რაც ქართველი გულშემატკივრისთვის არაერთი ექსტრემალური საქციელის ჩადენის მოტივატორი ხდებოდა.

თბილისის „დინამოს“, როგორც ქართული საფეხბურთო კლუბის, ამგვარი მნიშვნელობიდან გამომდინარე გამაერთიანებელ ფაქტორს თამაშობდნენ, ასევე, კლუბის ფეხბურთელები, რაც გამოიხატებოდა ქართული საზოგადოების ერთსულოვნებაში მათდამი დამოკიდებულებაში, სხვადასხვა მეტსახელებში, რომლებსაც ისინი ფეხბურთელებს არქმევდნენ და სხვა ნაშრომში მოყვანილ დეტალში.

მასებისთვის ფეხბურთის მნიშვნელობას ადასტურებს საკვლევ პერიოდში გადაღებული სამი მხატვრული ფილმი ფეხბურთის თემატიკაზე, რომელთაგან „პირველი მერცხალი“ ქართული ფეხბურთის ისტორიას ეხება, „ბურთი და მოედანი“ საფეხბურთო ეიფორიით შეპყრობილ ქართულ საბჭოთა ბიუროკრატთა საზოგადოებას, ხოლო „ფეოლა“ - ფეხბურთის მიმზიდველი ბუნებით გამოწვეულ ტრანსფორმაციას.

მასების მობილიზაციის მხრივ ფეხბურთის როლის განსაზღვრაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თბილისის „დინამოს“ მიერ 1960-1980-იან წლებში მიღწეულმა წარმატებებმა. ამ თვალსაზრისით საკვანძო მოვლენებად მიჩნეულია 1964 წლის 18 ნოემბერს ტაშკენტში პირველად მოპოვებული საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა და 1981 წლის 13 მაისს დიუსელდროფში უეფას თასების მფლობელთა თასის ფინალში იენის „კარლ ცეისის“ დამარცხება. ორივე შემთხვევაში ფინალური მატჩებისა და ფეხბურთელების თბილისში დაბრუნების დღეს მიღწეულის აღსანიშნავად მრავალრიცხოვანი საზეიმო დემონსტრაციები გაიმართა. განსაკუთრებული ხაზი გაესვა, ასევე, 1981 წლის 16 მაისს „დინამოელების“ დასახვედრად შეკრებილთა ბანერებსა და შემახილებს, რა დროსაც იკვეთება ეროვნული გრძნობების გამოხატვის ნიშნები.

მეორე ფაქტორი, რომელიც გამოკვეთილია ფეხბურთისა და ნაციონალიზმის ურთიერთქმედების თვალსაზრისით საბჭოთა საქართველოში, არის საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა და კულტურული ნაციონალიზმი, როგორც ამ პოლიტიკის მნიშვნელოვანი საყრდენი. ფეხბურთი ნაშრომში მიჩნეულია კულტურული ნაციონალიზმის ნაწილად, შესაბამისად, ხაზგასმულია მისი, როგორც საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტის, როლი მასების ეროვნული განწყობების კონტროლისთვის. საბჭოთა ნომენკლატურა, ერთი მხრივ, ახალისებდა ადგილობრივ საფეხბურთო კლუბებს, როგორც საბჭოთა ხალხების ინდივიდუალიზმის გამომხატველ სივრცეს, თუმცა, მეორე მხრივ, მსგავს წახალისებას თავისი შეზღუდვებიც გააჩნდა. ქართველ გულშემატკივარს მუდმივად ჰქონდა იმის განცდა, რომ მნიშვნელოვან წარმატებას თბილისის „დინამო“ ვერასდროს მიაღწევდა, რადგან ის ქართული (ან, უფრო ზუსტად, არარუსული) კლუბი იყო. ხრუშჩოვის რეჟიმის ცვლილებასთან ერთად დაიწყო ამ პოლიტიკის შერბილება, რასაც მოჰყვა ისეთი ნიშანდობლივი საკლუბო წარმატებები, როგორიცაა საკავშირო ჩემპიონატისა და საკავშირო თასის ორჯერ მოგება.

მესამე ასპექტი, რომელიც ნაშრომში განხილულია ფეხბურთისა და ქართული ნაციონალიზმის ურთიერთკავშირის წარმოსაჩენად, არის საბჭოთა პრესა და მასში ასახული საფეხბურთო მოვლენები. ნაშრომის ფარგლებში გაანალიზებულია გაზეთები „კომუნისტი“

და „ლელო“, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული გამოცემის პროფილის გამო გამოწვეული შესაძლო სუბიექტურობა და წარმოდგენილი ყოფილიყო ბეჭდური მედიის როგორც სპორტული, ისე სოციალურ-პოლიტიკური ნიმუშები.

გამოყენებული ლიტერატურა

გაგუა, ო. (1975). *ბორის პაიჭაძე.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

გოდუაძე, ლ. (2017). *ბასკებით დაწყებული ისტორია: თბილისის დინამოს საერთაშორისო მატჩები 1937-2017.* თბილისი: საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია.

დავითაშვილი, ზ. (2003). *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.* თბილისი: მეცნიერება.

ლორთქიფანიძე, მ. (2012). *საქართველოს ისტორია.* თბილისი: პალიტრა L.

მორჩილაძე, ა. (2015). *ასი მილიონი გირვანქა სტერლინგით შორს.* თბილისი: არტანუჯი.

მორჩილაძე, ა. (2012). *აკა მორჩილაძე „სარბიელში“ – 1995-1997.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

მორჩილაძე, ა. (2012). *აკა მორჩილაძე „სარბიელში“ – 1998 / 1.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

მოსაშვილი, მ. (1979). *N1 ფეხბურთელი.* თბილისი: ხელოვნება.

ტურაშვილი, დ. (2011). *მე რომ ფეხბურთელი ვიყო.* თბილისი: იბერია.

ფანჯიკიძე, გ. (1982). *ფორცა, იტალია!* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ფანჯიკიძე, გ. (1987). *მარადონა რეი.* თბილისი: ნაკადული.

ფოიერი, ფ. (2011). *როგორ აგვიხსნა ფეხბურთმა მსოფლიო: გლობალიზაციის სხვაგვარი გაგება.* თბილისი: რადარამი.

ჩხაიძე, ი. (2016). *ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ: ნაციონალური პროექტის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში* (სადოქტორო დისერტაცია).

ჯონსი, ს. (2013). *საქართველოს პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

Anderson, B. (2006). *Imagined Communities – Reflections on the Origin and Spread of Nationalism*. London / New York: Verso.

Archetti, E. (1992). Argentinian Football: Ritual of Violence? *International Journal of the Hisotry of Sport*, 209-235.

Ashmore, P. (2014). Of Other Atmospheres: Football Spectatorship beyond the Terrace Chant. *Soccer & Society*, 1-17.

Bairner, A. (2014). Assessing the Sociology of Sport: On National Identity and Nationalism. *International Review of the Sociology of Sport*, 375-380.

Bairner, A. (2008). Sport, Nationalism and Globalization: Relevance, Impact, Consequences. *Hitotsubashi Journal of Arts and Sciences*, 43-54.

Baker, C. (2016). Football, History and the Nation in Southeastern Europe. *Nationalities Papers*, 857-859.

Benjamin, C. (2012). Visca el Barca! Ideology, Nationalism and the FIFA World Cup. *The Kroeber Anthropological Society Papers*, 66-78.

Bilig, M. (1995). *Banal Nationalism*. London: SAGE Publications.

Budka, P., Jacono, D. (2013, October). *Football Fan Communities and Identity Construction: Past and Present of "Ultras Rapid" as Sociocultural Phenomenon.* Paper presented at Kick It! The Anthropology of European Football" conference. The University of Vienna.

Duer, G. (2016). Civic Integration or Ethnic Segregation? Models of Ethnic and Civic Nationalism in Club Football / Soccer. *Soccer & Society*, 1-14.

Garsia, C. (2012). Nationalism, Identity and Fan Relationship Building in Barcelona Football Club. *International Journal of Sport Communication*, 1-15.

Hargrave, R. (2007). Football Fans and Football History: A Review Essay. *Soccer & Society*, 240-249.

Hobsbawm, E. (1983). *The Invention of Tradition*. Cambridge: Cambridge University Press.

Hroch, M. (1985). *Social Preconditions of National Revival in Europe.* Cambridge: Cambridge University Press.

Hula, E. (1944). The Nationalities Policy of the Soviet Union: Theory and Practice. *Social Research*, 168-201.

Hunter, J. (2010). Flying the Flag: Identities, the Nation, and Sport. *Identities: Global Studies in Culture and Power*, 409-425.

Hutchinson, J. (2013). Cultural Nationalism. In J. Breuily, *the Oxford Handbook of the History of Nationalism* (pp. 75-94). Oxford: Oxford University press.

Ismer, S. (2011). Embodying the Nation: Football, Emotions and Construction of Collective Identity. *Nationalities Papers: The Journal of Nationalism and Ethnicity*, 547-565.

Ismer, S., Beyer, M., Solms-Baruth, C., von Scheve, C. (2015). International Football Tournaments, Emotional Entrainment and the Reproduction of Symbolic Boundaries. A Case Study in Germany. *Soccer & Society*, 1-21.

Tunon, J., Brey, E. (2012). Sports and Politics in Spain – Football and Nationalist Attitudes within the Basque Country and Catalonia. *European Journal of Sport and Society*, 7-32.

Kassimeris, C. (2012). Franco, the Popular Game, and Ethnocentric Conduct in Modern Spanish Football. *Soccer & Society,* 555-569.

Martin, T. (2001). *The Affirmative Action Empire: Nations and Nationalism in the Soviet Union, 1923-1939.* Ithaca and London: Cornell University Press.

Nilli, Sh. (2009). The Rules of the Game – Nationalism, Globalization and Football in Spain: Barca and Bilbao in a Comparative Perspective. *Global Society,* 245 – 268.

Nissen, R. (2015). Identity Construction in Professional Football: The Case of Brondby IF. *Soccer & Society,* 1-21.

O'Donnel, H. (1994). Mapping the Mythical: A Geopolitics of Sporting Typologies. *Discourse and Society,* 345-380.

Ovsepyan, K. (2016). The History of the Zenit Soccer Club as a Case Study of Soviet Football Teams. *Soccer & Society,* 1-10.

Rojo-Labaien, E. (2014). Football and the Representation of Basque Identity in the Contemporary Age. *Soccer & Society,* 1-18.

Rowe, D. (2015). The Mediated Nation and the Transnational Football Fan. *Soccer & Society,* 693-709.

Scherback, A. (2013). *Nationalism in the USSR: A Historical and Comparative Perspective.* Moscow: National Research University, Higher School of Economics.

Seippel, O. (2017). Sports and Nationalism in a Globalized World. *International Journal of Sociology,* 43-61.

Slezkine, Y. (1994). The USSR as a Communal Apartment, or How a Socialist State Promoted Ethnic Particularism. *Slavic Review,* 414-452.

Uchiumi, K. (2012). On Sporting Nationalism: Research Methodology. *Hitotsubashi Journal of Arts and Sciences,* 1-17.

Zhemukhov, S. (2014). Ethnic and State Sports in the Context of the 2014 Sochi Olympics. *National Identities,* 349 – 364.

გაზეთები:

გაბელია, ვ. (1964, ნოემბერი 17). მოახლოებული ოქროს ფინიში. *კომუნისტი,* გვ. 8.

„გამარჯვების სიხარული“ - რეპორტაჟი პახტაგორის სტადიონიდან“. (1964, ნოემბერი 20). *კომუნისტი,* გვ. 8.

„გილოცავთ სახელოვან გამარჯვებას, მეგობრებო!“. (1964, ნოემბერი 19). *კომუნისტი,* გვ. 8.

„დიდი ფეხბურთის წინ“ - ლაპარაკობენ თბილისის დინამოელები. (1964, ნოემბერი 16). *კომუნისტი,* გვ. 8

„დინამო“ (თბილისი) – „არარატი“. (1998, აპრილი 20). *ლელო.* გვ. 3.

„ექსპრომტი ქართველ ფეხბურთელებს“. (1964, ნოემბერი, 19). *კომუნისტი,* გვ. 8.

„თბილისის დინამო“ - ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ფეხბურთში“. (1964, ნოემბერი 19). *კომუნისტი,* გვ. 1.

თელია, ზ. (1981, მაისი 20). დიუსელდორფში... *ლელო.* გვ. 3.

„იმედის თვალით!“ (1981, აპრილი 21). *ლელო.* გვ. 3.

ცოტაძე, მ. (1981, მაისი 20). საფეხბურთო პოეზია. *ლელო.* გვ. 3.

ჭეიშვილი, თ. (1981, მაისი 16). ნანატრი თასი თბილისშია. *ლელო.* გვ. 1-3.

ელექტრონული მასალები:

„გახსოვთ 1976 წლის 3 სექტემბერი?“ (2011, სექტემბერი 3). ხელმისაწვდომია: http://for.ge/view.php?for_id=6593&cat=5. ნანახია: 2017, ივნისი 25.

თაბაგარი, ლ. (2011, თებერვალი 20). *როგორ დაკარგა ჩელებაძემ მილიონნახევარი.* ხელმისაწვდომია: http://www.ambebi.ge/sazogadoeba/32374-r...dzem-nakhevari-milioni.htm. ნანახია: 2017, ივლისი 5.

პაჭკორია, თ. (2012, სექტემბერი 14). *რა მოხდა თბილისში „დინამოს“ სტადიონზე 1977 წლის 23 ივლისს?* ხელმისაწვდომია: http://worldsport.ge/ge/page/ra-moxda-tbilisshi-dinamos-stadionze-1977-wlis-23-ivliss. ნანახია: 2017, ივნისი 25.

კანდელაკი, გ. (1969). *ფეხბურთი უბურთოდ.* სსრკ: სს ქართული ფილმი.

მგელაძე, გ. (1961). *ბურთი და მოედანი.* სსრკ: სს ქართული ფილმი.

მიქავა, ბ. (2011, მარტი 30). *გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს.* ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=hqWdw2KUXNo. ნანახია: 2017, ივლისი 4.

მჭედლიძე, ნ. (1975). *პირველი მერცხალი.* სსრკ: სს ქართული ფილმი.

წულაძე, ბ. (1970). *ფეოლა.* სსრკ: სს ქართული ფილმი.

ხარაბაძე, ა. (2014, აპრილი 19). *Georgian Footbol-грузинский футбол-ქართული ფეხბურთი.* ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=dqd9-En-VaE&t=1s. ნანახია: 2017, ივნისი 24.

Film Archieve of Georgia. (2014, დეკემბერი 14). *„ოქროს მატჩი“ 1964. Tbilisi “Dinamo” – Moscow “Torpedo”.* ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=6TmXzdspUyo. ნანახია: 2017, ივნისი 25.

Georgian Broadcaster. (2015, მარტი 24). *ქართული დოკუმენტალისტიკა - "ოქროს ბიჭები".* ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=SO4SLJwncCI. ნანახია: ივლისი 5.

Givifilms Studio Sport. (2013, სექტემბერი 1). *ჩვენი ფეხბურთი (დოკუმენტური ფილმი).* ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=nbiPR21d7MI. ნანახია: ივლისი 5.

High Sport. (2015, მარტი 30). *თბილისის დინამო - თასების მფლობელთა თასი - 1981 წლის 13 მაისი.* ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=w0vDf8L2wVc. ნანახია: 2017, ივლისი 5.

Teatrige. (2014, მაისი 24). *ქართული ფეხბურთი 110 წლისაა! - Georgian football is 110!* ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=ilSzcnSLaIM&t=2633s. ნანახია: 2017, ივნისი 25.

დანართი N1

თბილისიდან ცხრა მთა გადაიარეს
მხრებგაშლილმა ბიჭებმა,
რომ დაეცვათ უზბეკეთის მიწაზე
საქართველოს ღირსება.

არის აღსრულდა ოცნება!
არის აღსრულდა მიზანი!
კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი.

დაგვიბრუნდით გულ-მკერდდამშვენებულნი
სახელით და ღირსებით,
და სამშობლომ სიყვარულით ჩაგიკრათ
ჩვენი ოქროს ბიჭები.

არის აღსრულდა ოცნება!
არის აღსრულდა მიზანი!
კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს
ლეკვები მგლისანი.

დანართი N2

წელი	**ჩემპიონი**	**მე-2 ადგილი**
1936 (გ)	მოსკოვის „დინამო“	კიევის „დინამო“
1936 (შ)	მოსკოვის „სპარტაკი“	მოსკოვის „დინამო“
1937	მოსკოვის „დინამო“	მოსკოვის „სპარტაკი“
1938	მოსკოვის „სპარტაკი“	მოსკოვის „ცდკა“
1939	მოსკოვის „სპარტაკი“	თბილისის „დინამო“
1940	მოსკოვის „დინამო“	თბილისის „დინამო“
1941	შეწყდა მეორე მსოფლიო ომის გამო	
1942	არ ჩატარდა მეორე მსოფლიო ომის გამო	
1943	არ ჩატარდა მეორე მსოფლიო ომის გამო	
1944	არ ჩატარდა მეორე მსოფლიო ომის გამო	
1945	მოსკოვის „დინამო“	მოსკოვის „ცდკა“
1946	მოსკოვის „ცდკა“	მოსკოვის „დინამო“
1947	მოსკოვის „ცდკა“	მოსკოვის „დინამო“
1948	მოსკოვის „ცდკა“	მოსკოვის „დინამო“
1949	მოსკოვის „დინამო“	მოსკოვის „ცდკა“
1950	მოსკოვის „ცდკა“	მოსკოვის „დინამო“
1951	მოსკოვის „ცდკა“	თბილისის „დინამო“
1952	მოსკოვის „სპარტაკი“	კიევის „დინამო“
1953	მოსკოვის „სპარტაკი“	თბილისის „დინამო“
1954	მოსკოვის „დინამო“	მოსკოვის „სპარტაკი“
1955	მოსკოვის „დინამო“	მოსკოვის „სპარტაკი“
1956	მოსკოვის „სპარტაკი“	მოსკოვის „დინამო“
1957	მოსკოვის „დინამო“	მოსკოვის „ტორპედო“

1958	მოსკოვის „სპარტაკი“	მოსკოვის „დინამო“
1959	მოსკოვის „დინამო“	მოსკოვის „ლოკომოტივი“
1960	მოსკოვის „ტორპედო“	კიევის „დინამო“
1961	კიევის „დინამო“	მოსკოვის „ტორპედო“
1962	მოსკოვის „სპარტაკი“	მოსკოვის „დინამო“
1963	მოსკოვის „დინამო“	მოსკოვის „სპარტაკი“
1964	თბილისის „დინამო“	მოსკოვის „ტორპედო“
1965	მოსკოვის „ტორპედო“	კიევის „დინამო“
1966	კიევის „დინამო“	დონის როსტოვის „სკა“
1967	კიევის „დინამო“	მოსკოვის „დინამო“
1968	კიევის „დინამო“	მოსკოვის „ტორპედო“
1969	მოსკოვის „სპარტაკი“	კიევის „დინამო“
1970	მოსკოვის „ცსკა“	მოსკოვის „დინამო“
1971	კიევის „დინამო“	ერევნის „არარატი“
1972	ვოროშილოვგრადის „ზარია“	კიევის „დინამო“
1973	ერევნის „არარატი“	კიევის „დინამო“
1974	კიევის „დინამო“	მოსკოვის „სპარტაკი“
1975	კიევის „დინამო“	დონეცკის „შახტარი“
1976 (გ)	თბილისის „დინამო“	ერევნის „არარატი“
1976 (შ)	მოსკოვის „ტორპედო“	კიევის „დინამო“
1977	კიევის „დინამო“	თბილისის „დინამო“
1978	თბილისის „დინამო“	კიევის „დინამო“
1979	მოსკოვის „სპარტაკი“	დონეცკის „შახტარი“
1980	კიევის „დინამო“	მოსკოვის „სპარტაკი“
1981	კიევის „დინამო“	მოსკოვის „სპარტაკი“
1982	მინსკის „დინამო“	კიევის „დინამო“

1983	დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“	მოსკოვის „სპარტაკი“
1984	ლენინგრადის „ზენიტი“	მოსკოვის „სპარტაკი“
1985	კიევის „დინამო“	მოსკოვის „სპარტაკი“
1986	კიევის „დინამო“	მოსკოვის „დინამო“
1987	მოსკოვის „სპარტაკი“	დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“
1988	დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“	კიევის „დინამო“
1989	მოსკოვის „სპარტაკი“	დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“
1990	კიევის „დინამო“	მოსკოვის „ცსკა“
1991	მოსკოვის „ცსკა“	მოსკოვის „სპარტაკი“

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

MA Program in Nationalism and Ethnic Studies

By Nino Samkharadze

Football and Nationalism in Georgia in 1960s-1980s

Submitted to obtain

MA Degree in Social and Political Sicences

Supervisor: Dr. Irakli Chkhaidze

PhD in Culture Studies, Assistant Professor

Tbilisi

2017